პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ.(ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.
კვირა,
23
ივნისი
1935 წ.
№ 145 (4301)

დღეს ნომერში

- — საბჭოთა ჰუმანიზმი. („პრავდის" მეთაური).
- — მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის დღე.
- — ვ. მიუნცენბერგის სტატია: მეშვიდე (მე-2 გვ.).
- — დიდი ბრიტანეთის ელჩის ლორდ ჩილსტონის განცხადება ამხ. ლიტვინოვს.
- — პარკის დამზადება 20 ივნისისათვის.
- — ჩაის ფოთლის კრეფა 20 ივნისისათვის.
- — კარლ რადეკის სტატია.
- — ციტრუსები (მე-3 გვ.).
- — ყაზბეგის მუზეუმი (მე-3 გვ.).
- — ავიაციის მუშაკები „კომუნისტის" რედაქციაში (მე-4 გვ.).
- — უცხოეთის პრესა ინგლის-გერმანიის საზღვაო შეთანხმების შესახებ.
- — ჩრდილოეთ ჩინეთი იაპონიის კოლონიაა.

ეროვნული

საბჭოთა ჰუმანიზმი

„პრავდის" მოწინავე 21/VI

კაპიტალისტური ეპოქა, რომელმაც თავისი განვითარების გარიჟრაჟზე გვიჩვენა ტექნიკისა და მეცნიერების სასწაულები და რომელიც ამჟამად იხრჩობა ფაშისტურ ბარბაროსობაში, აღსასრულს უახლოვდება. ამას ბევრი ბურჟუაზიული ფილოსოფოსი, სოციოლოგი, ეკონომისტი უკვე აღარ უარყოფს. მაგრამ კაპიტალისტური კულტურის კრახს ისინი სთვლიან ან ასაღებენ ყოველგვარი კულტურის კრახად.

ამ ისტორიულ სიბრმავით ისინი ვერ იჩენენ ორიგინალობას. მშრომელებზე ბატონობის ბურჟუაზიის წინამორბედნი, ფეოდალური თავად-აზნაურები სწორედ ასევე თავიანთი ეპოქის რევოლუციურ ნგრევაში ხედავდნენ მხოლოდ საყოველთაო „წარღვნას", მთელი და ყოველგვარი კულტურის კრახს. ჩვენი დროის შპენგლერები აღსასრულის და დაცემის თავის ფილოსოფიას პირდაპირ იწერენ ფეოდალური თავად-აზნაურობის უკანასკნელ რაინდთა ბინძური პამფლეტებიდან.

ამასთან შედარებით, ფაშიზმი ცდილობს კაპიტალისტური ბურჟუაზია გადაარჩინოს წინაკაპიტალისტურ ბარბაროსობისკენ მისი დაბრუნების გზით. ფაშიზმის „იდეოლოგები" წყევა-კრულვას უგზავნიან ყოველივე საუკეთესოს, რაც შექმნილია თვით ბურჟუაზიის ბნელ ფეოდალიზმთან ბრძოლის პერიოდში. ისინი ცდილობენ სვასტიკით გადახაზონ კულტურა, ჰუმანიზმი, რელიგიისაგან თავისუფალი მეცნიერება და კრიტიკული გონების უფლება.

მაგრამ კაპიტალისტები, ფაშიზმისადმი მხურვალე თანაგრძნობის მიუხედავად, არ აპირებენ თავიანთი ფაბრიკების დანგრევას რეაქციული უტოპიური რომანტიკის სასიხარულოდ. კრუპის ქარხნების მფლობელნი ნაკლებად ფიქრობენ იმაზე, რომ გახდნენ წვრილ, საშუალო საუკუნეობრივ სახელოსნოების პატრონები. არც მემამულეები არიან იმის თანახმა, რომ მოჯამაგირეთა ხელით მოხნული მინდვრები დაიფარონ გაუვალი ტევტობურგული ტყით. საშუალო საუკუნეების წითელი არსენალიდან ისინი სიამოვნებით ღებულობენ მხოლოდ მის პოლიტიკურ იდეებს, მშრომელთა მილიონებისათვის კი არ იშურებენ ბატონყმური მონობის მთელ მშვენიერებას.

ბურჟუაზია თავისი „გმირებისთვის" იდეებს ყოველთვის წარსულიდან ღებულობდა. მაგრამ ეს მასკარადი ჯერ კიდევ არასოდის არ გამოიყურებოდა ასე უმწეოდ, უბადრუკად, სულელურად და სასაცილოდ.

ბურჟუაზიული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელნი, რომელთაც შესწევთ ისტორიული პროცესის მთელი მიმდინარეობის თეორიულ გაგების უნარი, თანდათან ხედებიან, რომ მათ წინაშე ნამდვილად არის კაპიტალიზმის აღსასრული, მაგრამ ამავე დროს ახალი დიდი ეპოქის დასაწყისი — მთელი საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის გზა. სოციალიზმის მშენებლობა საბჭოთა ქვეყანაში — ეს არ არის „ექსპერიმენტი", რომელსაც შეიძლება უყურებდე ქედმაღლურად და შეწყნარებით, თავს ინუგეშებდე და სხვებს ატყუებდე, რომ კაპიტალიზმი მტკიცეა. ეს არის არა „ნაციონალური", არამედ მსოფლიო მოვლენა, რომელსაც სცნობენ და მხარს უჭერენ საერთაშორისო პროლეტარიატი და მშრომელთა მილიონები. ეს არის ერთადერთი რევოლუციური შემოქმედი კლასის გამარჯვება უკლასო საზოგადოებისათვის ბრძოლაში, ეს არის კლასობრივი ბრძოლა ადამიანის და ადამიანობის, კულტურის და გონების გამარჯვების დროშით, ახალი პროლეტარული ჰუმანიზმის დროშით. საბჭოთა ჰუმანიზმს სახელწოდების გარდა არაფერი აქვს საერთო ბურჟუაზიის ისტორიულ ჰუმანიზმთან. ნამდვილი ჰუმანიზმი — ეს არის პროლეტარიატის ჰუმანიზმი. პროლეტარული რევოლუცია, მარქსის სიტყვით, არა წარსულიდან, არამედ მომავლიდან ღებულობს თავის პოეზიას. ბურჟუაზიის ჰუმანიზმის ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ შეერიგებია კლასები. იგი პროლეტარს ასწავლიდა გამოგონილი „ზოგადადამიანის" დანახვას რეალურ ექსპლოატატორში და ადამიანობის შესახებ ყალბი დეკლამაციით ჰფარავდა მშრომელთა არსებობის არაადამიანურ, პირუტყვულ პირობებს. საბჭოთა ჰუმანიზმი იმყარება მტარვებელთა და პარაზიტთა კლასის ნამდვილად მოსპობას, რომელნიც ადამიანებს უქმნიან პირუტყვულ ცხოვრებას. აშკარად აღიარებს რა კლასობრივ ბრძოლას, კომუნიზმი ანთავისუფლებს და ანახლებს ადამიანს. ამიტომ, როგორც ენგელსი ამტკიცებს, პროლეტარიატის მთელი მოძრაობა არსებითად ჰუმანიურია.

ბურჟუაზიას არასოდეს არ ესმოდა ეს. მისი იდეოლოგები სარგებლობდნენ პროლეტარული რევოლუციის პირდაპირობით და გულწრფელობით, რათა ცილისწამებლურად მიეწერათ მისთვის „ვიწროკლასობრივი" ხასიათი. თავის მეშჩანურ შეზღუდულობაში ბურჟუაზიის მწერლები, ფილოსოფოსები და პოეტები ცხოვრების რეალურ კლასობრივ შინაარსს ცალიერ „ზოგად საკაცობრიო" ფრაზას უმორჩილებდნენ. ისინი, ბურჟუაზიული კლასობრივი საზოგადოების ჭაობში ყელამდე ჩაფლულნი, „ზოგადადამიანებად" სთვლიდნენ თავის თავს! მაგრამ ნამდვილი ადამიანი საზოგადოებაში იქმნება მხოლოდ კლასების მოსპობის შემდეგ.

ამას ასწავლიდნენ პროლეტარიატს მისი დიდი ბელადები. ძირფესვიანი გადატრიალების მზადება, წერდა მარქსი ჯერ კიდევ თავის ახალგაზრდობაში, „ნიშნავს საგნის ფესვის შეცნობას. მაგრამ ადამიანისათვის ფესვს თვით ადამიანი წარმოადგენს" აქედან — პროლეტარიატის რევოლუციის კანონი: „დამხობა ყველა ურთიერთობისა, რომელშიაც ადამიანი წარმოადგენს დამცირებულ, დამონებულ, დაჩაგრულ და შეურაცხყოფილ არსებას".

მხოლოდ პროლეტარიატს შეუძლია იკისროს ამ დიადი მსოფლიოისტორიული ამოცანის ბოლომდე შესრულება, რადგან ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კაპიტალის დაქირავებული მონა „წარმოადგენს ადამიანის სრულ დაკარგვას, მაშასადამე, მას შეუძლია თავისი თავი ჰპოვოს მხოლოდ ადამიანის სრულ განახლებასთან ერთად".

ამ სიტყვებს მთელი მსოფლიო პროლეტარული მოძრაობა ადასტურებს. არა მარტო მუშა ჰპოვებს თავის თავს, როგორც ადამიანი, რევოლუციურ კლასობრივ ბრძოლასა და კომუნისტურ პარტიაში, არამედ მრავალი ასი მილიონი პარიები მთელი დედამიწის ზურგზე, კაპიტალის დაქირავებული მონები, მრავალი ასი მილიონი დაჩაგრული, დამცირებული და შეურაცხყოფილი არსებანი რევოლუციურ პროლეტარიატში თავის მხსნელსა და ბელადს ხედავენ. პროლეტარიატის დიად ადამიანთა მთელი საქმიანობა გამსჭვალულია უდიდესი გულითადი, ნამდვილი კაცთმოყვარეობით, მხურვალე თანაგრძნობით დაჩაგრული, დამცირებული და შეურაცხყოფილი მშრომელი ხალხისადმი, ისევე, როგორც რევოლუციონერი მუშისათვის უდიდესი სიამაყით. ულმობელი კლასობრივი ბრძოლის მასწავლებლები — მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი — ეს დიადი კაცთმოყვარეები არიან, პროლეტარიატის დიადი ჰუმანისტები არიან.

მაგრამ ახალი ჰუმანიზმი მთელი მსოფლიოს წინაშე უკვე გადაშლილია არა მარტო მარქსიზმის მასწავლებელთა უკვდავ ქმნილებებში, არა მარტო პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლაში თავის მტრებთან, არამედ ჩვენი მშენებლობის ცოცხალ ნამდვილ პრაქტიკაშიც. ახალი ადამიანების გარიჟრაჟი უკვე მოევლინა კაცობრიობას. ეს გარიჟრაჟი ახლებურად მკვიდრდება საბჭოთა მიწაწყალზე. სოციალიზმი საბჭოთა ქვეყანაში სპობს ნაციონალისტური და რელიგიური სიბრიყვის შავბნელ აჩრდილებს. იგი ჰბადებს გმირებს და ტიტანებს. მის ცხოველმყოფელ სხივებში მილიონთა ნიჭი კაშკაშებს და ციმციმებს.

ეს არის ახალი კაცობრიობის საოცარი გარიჟრაჟი... მაგრამ იგი თავისთავად არ გვევლინება. პროლეტარიატი კაპიტალიზმის ნანგრევებზე დაუღალავი მუშაობით ჰქმნის თავისი ახალი ცხოვრების პირობებს. ადამიანისათვის ზრუნვა სოციალისტური მშენებლობის პირველი რიგის უმნიშვნელოვანესი ამოცანა ხდება, და მსოფლიო ისტორიის ახალი ეტაპი დაიწყო და აღინიშნა ამხანაგ სტალინის სიტყვებით ადამიანის მზრუნველობით გამოზრდის, ახალი კადრების ღირებულების, განთავისუფლებულ კაცობრიობის ყველაზე დიდი ღირებულების შესახებ. მთელი ბოლშევიკური მუშაობა ახალ სიმაღლეზე ადის, რომელიც ახალ თვალუწვდენელ ჰორიზონტებს გვიჩვენებს. ბოლშევიკი ყოველთვის ადამიანთა აღმზრდელსაც ნიშნავდა. ახლა მას ამ მხარეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ბოლშევიკი ვალდებულია რევოლუციური შეურიგებლობა და უაღრესი კლასობრივი სიფხიზლე გამოიჩინოს, ყველა კლასობრივად — უცხო ელემენტი ალაგავოს და ფრთხილად, მზრუნველობით მოუაროს მზარდ ახალ ადამიანს, უზრუნველყოს მისთვის თავისუფალი, ხალისიანი და გააზრებული ცხოვრების მთელი სისრულე.

ადამიანის ზეიმი, ადამიანობა, ადამიანის სიმდიდრეთა და სოციალისტური წყობილების დაუშრეტელობა, — აი რა შეადგენს საბჭოთა ქვეყნის ძალას. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიადი კავშირი მაღლა სწევს ჰუმანიზმის დროშას მსოფლიოში მაშინ, როცა კაპიტალისტური საზოგადოება სულ უფრო ღრმად იფლობა არსებობის პირუტყვულ პირობებში, ხოლო მისი გაბატონებული კლასები მხეცდებიან და ველურდებიან ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

საზოგადოებრივ ფორმაციათა ისტორიულ ცვლებში ყოველთვის იმარჯვებდა ის ფორმაცია, რომელიც უმაღლეს კულტურას ფლობდა. ამჟამად, ეპოქათა დიდი გარდატეხაში, უმაღლეს კულტურას უდაოდ გამარჯვებული პროლეტარიატი ფლობს.

ტყვარჩელის მაღარო მიღებულია მთავრობის კომისიის მიერ

ტყვარჩელი, 22 ივნისი. მთავრობის კომისიამ მიათავა ტყვარჩელის მაღაროს მიღება და გაემგზავრა მოსკოვში, სადაც მოხსენებას გაუკეთებს საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს. ძირითადი სამუშაოები კომისიამ დამაკმაყოფილებლად სცნო და მაღარო მიღებულია. (ადს).

უცხოეთის პრესა ინგლის-გერმანიის საზღვაო შეთანხმების შესახებ

ინგლის-გერმანიის შეთანხმება შეიარაღების ახალი ზრდის სტიმულია

ნიუ-იორკი, 20 ივნისი. საგაზეთო ტრესტის „სკრიპსჰოვარდის" უცხოეთის განყოფილების რედაქტორი სიმსი ეხება ინგლის-გერმანიის საზღვაო შეთანხმებას და აღნიშნავს, რომ იგი არღვევს ყველა ხელშეკრულებას და გამოიწვევს საყოველთაო შეჯიბრებას შეიარაღებაში.

„თუ ინგლისს, — სწერს სიმსი, — შეუძლია მოახდინოს გერმანიის შეიარაღების ლეგალიზაცია და არარად აქციოს ვერსალის ხელშეკრულება, რატომ არ შეუძლია 9 სახელმწიფოს ხელშეკრულების რომელიმე მონაწილეს ასევე დააკანონოს იაპონიის მიერ მანჯურიისა და მთელი ჩინეთის დაპყრობა?

გაზეთ „ვაშინგტონ სტარი" ინგლის-გერმანიის შეთანხმებას უწოდებს ყველაზე უფრო გასაკვირველ დიპლომატიურ აქტს ომის შემდგომ წლებში. გაზეთის სიტყვით, ეს შეთანხმება სპობს არა მარტო ვერსალის ხელშეკრულებას, არამედ ვაშინგტონის და ლონდონის საზღვაო ხელშეკრულებებსაც (ადს).

---o---

იტალიის პრესის უარყოფითი პოზიცია

რომი, 20 ივნისი. იტალიის პრესა უარყოფითად ეკიდება ინგლის-გერმანიის საზღვაო შეთანხმებას. ყველა გაზეთი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ შეთანხმება დადებულია ერთა ლიგის გვერდზე და ამასთან მიუთითებენ, რომ ეს ფაქტი ახალი დარტყმაა ერთა ლიგისათვის. **„გაძეტა დელ პოპოლო"** სწერს:

„ინგლისი უბრუნდება თავის ტრადიციულ პოლიტიკას — ევროპაში სახელმწიფოთა ჯგუფებს შორის წონასწორობის შენარჩუნების პოლიტიკას. ეს იმგვარად, რომ სასწორზე თანაფარდობის შეცვლით, სიმძიმის ხან ერთ, ხან მეორე მხარეს გადატანით, ინგლისი მდგომარეობის არბიტრი დარჩეს ხოლმე. საფრანგეთის დაახლოება იტალიასთან და საფრანგეთის შეთანხმება საბჭოთა კავშირთან ინგლისში საფრანგეთის განსაკუთრებულ გაძლიერებად მიაჩნიათ. აი რატომაა, რომ ინგლისი ასე გულმოდგინედ უწყობს ხელს გერმანიის გაძლიერებას". (ადს).

---o---

„ბანდიტთა" თავდასხმა მანჯურიის ოქროს საბადოებზე

ტოკიო, 19 ივნისი. სინბუნ რენგოს სააგენტოს გადმოცემით, 18 ივნისს 400 „ბანდიტისაგან" შემდგარი რაზმი ქალაქ ნინგუტას მახლობლად თავს დაესხა „დაიუანჩანის ოქროს საბადოებს", რომელიც მანჯურიის ოქროს მრეწველთა კომპანიას ეკუთვნის. თავდამსხმელებმა მოჰკლეს რამდენიმე პოლიციელი, გაიტაცეს 10 იაპონელი და მანჯურიელი, გადასწვეს ყველა შენობა, [illegible] გაიტაცეს 20 ათასი ჩინური დოლარის ოქრო (ადს).

ნიუ-იორკი, 20 ივნისი. ვაშინგტონის წრეებში ინგლის-გერმანიის საზღვაო შეთანხმებას კომენტარიებს არ უკეთებენ.

„ნიუ-იორკ ტაიმსი" ბრალს სდებს ინგლისს — იგი მონაწილეობას ღებულობს ვერსალის ხელშეკრულების დარღვევაშიო.

„ინგლისის მოტივები, — სწერს გაზეთი, — იქნებ საუცხოოცაა. იქნებ დროა გადაიშინჯოს ვერსალის ხელშეკრულება. მაგრამ ხელშეკრულების გულცივად უკუგდება სწორი გზა არ არის".

გასაგებია, — განაგრძობს შემდეგ გაზეთი, რომ ინგლისს სურს მიაღწიოს საზღვაო ძალთა თანაფარდობას გერმანიასთან. მაგრამ ინგლისმა ანგარიში უნდა გაუწიოს აგრეთვე საფრანგეთსა და იტალიას, რომლებიც შეიძლება არ დაეთანხმონ ვერსალის ხელშეკრულების ასეთ თვითნებურ გადაშინჯვას. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიასაც არ შეუძლიათ გვერდი აუარონ ინგლისის მოქმედებას.

ტოკიო, 21 ივნისი. გაზეთ „ასახის" სიტყვით, იაპონიის საზღვაო წრეებს ინგლის-გერმანიის საზღვაო შეთანხმების წინააღმდეგ არც შედავება შეუძლიათ, არც მასში ჩარევა, რამდენადაც ეს შეთანხმება მხოლოდ ევროპას ეხება და იაპონიაზე უშუალო გავლენას არ ახდენს. მაგრამ, ამასთან ერთად, იაპონიის მიერ ლონდონში ჩამოყალიბებულ პრინციპთა თვალსაზრისით, იაპონიის ფლოტი ვერ დაეთანხმება ინგლის-გერმანიის შეთანხმების პუნქტებს, რომლებიც ითვალისწინებენ პროპორციას სამხედრო გემთა ცალკეული კატეგორიებისათვის ვინაიდან ეს პრინციპები ალაგებენ კვოტების სისტემას, რომელსაც იაპონია უარჰყოფს. (ადს).

● ● ●

პოლონეთის მთავრობის პრესა ესალმება ინგლის-გერმანიის შეთანხმებას

ვარშავა, 20 ივნისი. მთავრობის პრესა თავის კომენტარიებში არ ფარავს თავის კმაყოფილებას ინგლის-გერმანიის შეთანხმების გამო. „გაზეტა პოლსკას" შეთანხმება მიაჩნია დიდ სახელმწიფოთა ერთიანი ფრონტის ჩაშლის ახალ ნიშნად აბისინიის საკითხზე ჩამოვარდნილი უთანხმოებისა და იტალია-გერმანიის ფლირტის შემდეგ. გაზეთი აცხადებს, რომ ინგლის-გერმანიის შეთანხმების ხელმოწერა ნიშნავს ორმხრივ შეთანხმებათა თეზისის გამარჯვებას, რომელსაც იცავს პოლონეთი. სამხედრო სამინისტროს ორგანო „პოლსკა ზბროინა" კომენტარიებს უკეთებს შეთანხმებას, როგორც „გერმანიის დიდ გამარჯვებას".

მთავრობის ორგანოების კომენტარიებისაგან განსხვავებით, ზომიერ-ოპოზიციური „კურიერ ვარშავსკი" შეთანხმებას მეტად პესიმისტურად აფასებს. გაზეთი მიუთითებს, რომ საზღვაო შეთანხმების მეოხებით, გერმანიამ მიიღო ინგლისის თანხმობა ისეთი ფლოტის შექმნაზე, რომელიც საფრანგეთის ფლოტის 85 პროცენტს შეადგენს. ამგვარად, გერმანიას უპირატესობა ექნება ბალტიისა და ჩრდილოეთის [illegible]

ჩრდილოეთ-ჩინეთი იაპონიის კოლონიაა

ტოკიო, 20 ივნისი. როგორც დომეი ცუსინის სააგენტო იტყობინება, კვანტუნის არმიამ 19 ივნისს გამოაცხადა: რადგან ჩრდილოეთ ჩინეთში ამბები ხელსაყრელად ვითარდება, იაპონიის არმია „უახლოეს მომავალში არავითარ ნაბიჯს არ გადასდგამს იაპონიის არმიის მიზნების მისაღწევად ჩრდილოეთ ჩინეთში", არამედ მხოლოდ თვალყურს ადევნებს, თუ შემდეგ როგორ შეასრულებს ნანკინის მთავრობა იაპონიის მოთხოვნებს.

სინბუნ რენგოს სააგენტო სწერს, რომ ნანკინის ჯარების მე-2 და მე-25 დივიზიებმა დაამთავრეს ევაკუაცია ხებეის პროვინციიდან და ჩენჩოუში დაბანაკდნენ (ხენანის პროვინცია).

დომეი ცუსინის სააგენტოს სიტყვით, ჩახარის გუბერნატორმა სუნ ჩე-იუანმა ბრძანება გასცა, რათა მისი ჯარები გაიყვანილ იქნან ჩახარისა და ჟეხეს საზღვრებიდან.

„ნიჩი-ნიჩი" აღნიშნავს: რადგან ნანკინის მთავრობამ მიიღო იაპონიის ყველა მოთხოვნა ჩინეთის შესახებ, იაპონიის ხელისუფლება ამჟამად ამუშავებს „იაპონია-მანჯურიის კომპანიის" შექმნის გეგმას; ამ გეგმის მიხედვით, კომპანიას ექნება დიდი კაპიტალი „ჩრდილოეთ ჩინეთის ეკონომიკის განვითარებისათვის". ეს გეგმა მოიცავს, ჯერ ერთი, ქვანახშირისა და მეტალურგიის მრეწველობას, მეორე, ტიანძინის რაიონის საფეიქრო მრეწველობას, მესამე, მებამბეობის განვითარებას ჩრდილოეთ ჩინეთის 5 პროვინციაში და, მეოთხე, გზებისა და კავშირგაბმულობის განვითარებას (ადს).

---o---

იდენის მომავალი მოლაპარაკება ევროპაში

ლონდონი, 20 ივნისი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ იდენი პარიზში ჩასვლის შემდეგ გაემგზავრება იტალიაში. იქ მან მუსოლინთან უნდა განიხილოს იგივე საკითხები, რომლებიც იქნება პარიზის მოლაპარაკების საგანი, სახელდობრ: საზღვაო შეიარაღებისა და დასავლეთის საჰაერო პაქტის საკითხი (ადს).

---o---

იდენი პარიზში ჩავიდა

პარიზი, 21 ივნისი. გუშინ იდენი პარიზში ჩამოვიდა. მას თან ახლავს აღმოსავლეთ ევროპის საკითხთა სპეციალისტი საგარეო საქმეთა სამინისტროში — სტრენგი. ლონდონის ცნობაში, რომელსაც საფრანგეთის გაზეთები ათავსებენ, ნათქვამია, რომ დარბაზობის ძირითადი მიზანია მოლაპარაკების დაჩქარება საჰაერო პაქტის დასადებად, რასაც ინგლის-საფრანგეთის 3 თებერვლის შეთანხმება ითვალისწინებს.

იდენის მოლაპარაკების მეორე საგანი, როგორც „პტი პარიზიენი" იტყობინება, იქნება საფრანგეთ-საბჭოთა ხელშეკრულების შეთანხმება [illegible]

საბჭოთა კავშირში

სრულიად უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის შენობა კიევში.

□ □ □ □ □ □ □ □ □ □ □ □

საცალო ფასების შემცირება რძესა და კარტოფილზე.

მოსკოვი, 21 ივნისი. სსრ კავშირის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატმა შეამცირა საცალო ფასები რძესა და კარტოფილზე, რომლებიც იყიდება ღია ვაჭრობით. მოსკოვსა და ლენინგრადში ერთი ლიტრი რძის ფასი 1 მანეთიდან და 60 კაპეიკიდან შემცირებულია 1 მან. და 40 კაპეიკამდე, სტალინგრადში — 2 მანეთიდან 1½ მანეთამდე და სხვ. მესამე კვარტალში ღია ვაჭრობისთვის საბჭოთა კავშირში გამოყოფილია 68.600 ტონა რძე, აქედან 18.600 ტონა — მოსკოვისათვის.

კილო კარტოფილის ფასი მოსკოვში შემცირებულია 60 კაპეიკიდან 45 კაპეიკამდე, ლენინგრადში 70 კაპეიკიდან 45 კაპეიკამდე, დონის როსტოვში 1 მანეთიდან 50 კაპეიკამდე და სხვ.

კარტოფილის ღია ვაჭრობა ამჟამად საბჭოთა კავშირის 27 ქალაქშია, (ადს).

სტუმრების ჩამოსვლა საბჭოთა დაღესტნის 15 წლისთავის ზეიმზე.

მახაჩ-კალა, 21 ივნისი. დაღესტნის 15 წლისთავის ზეიმზე უკვე ჩამოდიან სტუმრები. სულ ჩამოვა 50 ათასზე მეტი კაცი. სტუმრები, დაბინავდებიან ტარკი-ტაუს მთაზე, სადაც ეწყობა უმაგალითო ბანაკი დაღესტნის 80 ეროვნების წარმომადგენლებისა.

ზეიმის დღეებში მოეწყობა ნაციონალურ ხელოვნებათა გრანდიოზული ოლიმპიადა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს 500-მდე პოეტი, მომღერალი, მუსიკოსი და ნაციონალური ხელოვნების მრავალი ათასი შემსრულებელი. (ადს).

გაერთიანება „სტალის" ქარხნებმა ვადამდე შეასრულეს ნახევარი წლის გეგმა

ხარკოვი, 21 ივნისი. 17 ივნისს გაერთიანება „სტალის" ქარხნებმა ვადამდე შეასრულეს ტკეცილის ნახევარი წლის გეგმა. 1934 წლის პირველ ნახევართან შედარებით, „სტალის" ქარხნებმა გამოუშვეს 389 ათას ტონით მეტი ტკეცილი. წლის პირველი ნახევრის გეგმის გადამეტებით — გაერთიანება „სტალი" იძლევა 140 ათას ტონა ტკეცილს (ადს).

ლენინგრადის პარტორგანიზაციების ყურადღება კომკავშირის მუშაობას.

ლენინგრადი, 21 ივნისი. პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ კომკავშირის მუშაობას. საკ. კ.პ.(ბ) ცენტრალურ რაიკომში კომკავშირული სწავლებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად გამოჰყვეს 50 პროპაგანდისტი — კომუნისტი. რაიონში მოეწყო 40 პოლიტწრე. საკ. ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციებს ყოველდღიურ დახმარებას უწევენ რაიკომის ინსტრუქტორები. რაიკომის ბიუროს სხდომებზე სისტემატურად ისმენენ კომკავშირზე პარტმიმაგრებულთა ანგარიშს. ორი თვის განმავლობაში მოისმინეს და განიხილეს 11 სხვადასხვა საკითხი, დაკავშირებული საკ. ა. ლ. კ. კ. ცხოვრებასა და მუშაობასთან, სისტემატურად ამოწმებენ რაიკომის გადაწყვეტილებათა შესრულებასაც.

პარტიული ორგანიზაციების დახმარებამ საგრძნობლად გააუმჯობესა და გამოაცოცხლა კომკავშირული მუშაობა. საკ. ა. ლ. კ. კ. ვოლოდარსკის რაიკომმა თეთრ ზღვაზე ჩაატარა საუკეთესო კომკავშირელთა მთელი რიგი საინტერესო ექსკურსია. (ადს).

დიდი ბრიტანეთის ელჩის ლორდ ჩილსტონის განცხადება ამხ. ლიტვინოვს

მოსკოვი, 21 ივნისი. 21 ივნისს დიდი ბრიტანეთის ელჩმა ლორდმა **ჩილსტონმა** ინახულა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ლიტვინოვი და გააცნო მას შინაარსი გერმანიის იმ წინადადებისა საზღვაო შეიარაღების შესახებ, რომელიც მიიღო ბრიტანეთის მთავრობამ. ამასთან ჩილსტონმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობას საფრანგეთისა და იტალიის მთავრობებთან მოლაპარაკება აქვს საზღვაო შეიარაღების საკითხზე, და მას სასურველად მიაჩნია, ეს საკითხი განიხილოს აგრეთვე საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებთან. შემდეგ ბრიტანეთის ელჩმა აღნიშნა, რომ, თუ შეუძლებელი გახდება საერთაშორისო შეთანხმების მიღწევა საზღვაო შეიარაღების რიცხობრივი შეზღუდვის შესახებ, ბრიტანეთის მთავრობა იმედი აქვს მიაღწიოს შეთანხმებას შეიარაღების ხარისხობრივი შეზღუდვის შესახებ. ჩილსტონმა გააცნო ამხ. ლიტვინოვს, რომ ბრიტანეთის მთავრობა საბჭოთა მთავრობას მიაწოდებს ინფორმაციას საზღვაო შეიარაღების გარშემო გამართული მოლაპარაკების შემდგომი მიმდინარეობის შესახებ (ადს).

კ. რადეკის სტატია

მოსკოვი, 21 ივნისი (საქ. კორ.) დღევანდელ „იზვესტიაში" დაბეჭდილია **კარლ რადეკის** სტატია **„ინგლის-გერმანიის საზღვაო შეთანხმება და ინგლის-საფრანგეთის ფრონტის გარღვევა"**, რომელშიც ნათქვამია:

გერმანიაში ძლიერი თანამედროვე ფლოტის აგება წარმოადგენს გერმანიის ფლოტის დამაარსებლის ადმირალ ფონ-ტირპიცის იმ ძველი აზრის ახალ სახეობას, რომელსაც ეწოდებოდა „რისკის იდეა". ეს აზრი ემყარებოდა იმის რწმენას, რომ, თუ გერმანიას ეყოლებოდა საკმაოდ ძლიერი ფლოტი, ინგლისი ვეღარ გაბედავდა ჩარეულიყო ომში საფრანგეთის და რუსეთის მხარეზე.

ამ მიზნისათვის ფონ-ტირპიცს საჭიროდ მიაჩნდა შექმნა ისეთი ფლოტი, რომელიც ბრიტანეთის ფლოტის 55 პროცენტის თანაბარი იქნებოდა. ჰიტლერის საზღვაო მრჩეველები ფიქრობენ, რომ რაკი დიდი ბრიტანეთის მდგომარეობა რადიკალურად გაუარესდა, ზემოხსენებული მიზნის მისაღწევად ჯერჯერობით კმარა დიდი ბრიტანეთის ფლოტის 35 პროც. შექმნაც.

ფონ-ტირპიცის ფლოტმა საბოლოო ანგარიშით არამც თუ ხელი ვერ შეუშალა დიდბრიტანეთს საფრანგეთის და მეფის რუსეთის მხარეზე დამდგარიყო, არამედ, როგორც ცნობილია, აიძულა ინგლისის იმპერიალიზმი ანტანტა მოეწყო.

ჩვენ არ ვკისრულობთ იმის წინასწარმეტყველებას — მიაღწევს თუ არა გერმანია დიდ-ბრიტანეთზე გავლენის მოხდენით თავისი საბოლოო მიზნებს, მაგრამ უმართებულო იქნებოდა ჯეროვნად არ შეგვეფასებინა ის, რასაც მან უკვე მიაღწია. მან მიაღწია ინგლის-საფრანგეთის იმ ფრონტის გარღვევას, რომელიც თითქმის მოგვარებული იყო.

3 თებერვალს დიდმა-ბრიტანეთმა საფრანგეთთან ერთად წამოაყენა საგარეო-პოლიტიკური პროგრამა, იგი გულისხმობს გერმანიის შეიარაღების ლეგალიზაციას მშვიდობიანობის განმტკიცების საფუძველზე, აღმოსავლეთის ურთიერთდახმარების პაქტის, დუნაის პაქტის და საფრანგეთ-დასავლეთის პაქტის დადების გზით. გერმანიის შეიარაღების ოდენობა შეთანხმებული უნდა ყოფილიყო საფრანგეთსა და ინგლისთან. გავიდა მხოლოდ 4-5 თვე. ამ ხნის განმავლობაში გერმანიამ თავისით მოსპო ვერსალის ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც მის შეიარაღებას ზღუდავდა, უარი განაცხადა ურთიერთდახმარების აღმოსავლეთის პაქტის ხელმოწერაზე და ცდილობს გააქარწყლოს დუნაის პაქტის დადების შესაძლებლობა, უნგრეთთან და ბულგარეთთან სეპარატიული გარიგების გზით.

ყოველივე ამის პასუხად დიდმა ბრიტანეთმა გერმანიასთან აწარმოებს საზღვაო მოლაპარაკებას, საფრანგეთის პროტესტის მიუხედავად, ეს მოლაპარაკება საზღვაო ხელშეკრულებით დამთავრდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, დიდ-ბრიტანეთი უარს აცხადებს სოლიდარულ ბრძოლაზე მშვიდობიანობის იმ კოლექტიური ორგანიზაციისათვის, რომელიც 3 თებერვლის დოკუმენტში გამოხატული. ბრიტანეთის ასეთი საქციელის მიზეზები გულდასმით უნდა გამოარკვიოთ. ეს შეიძლება იყოს სისუსტის გრძნობა, გამოწვეული იმით, რომ გერმანია, ინგლისის ყოველგვარი ვარაუდის წინააღმდეგ, ჰაერში უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე დიდი ბრიტანეთი, ან ინგლისის პოლიტიკაში ჯერჯერობით იმარჯვებს გერმანიასთან სეპარატიული შეთანხმების ტენდენციები, რომელთა გაძლიერების შესახებაც სიგნალს გვაძლევდა ბატონ იდენის ჩასვლა — გერმანიაში.

ორივე შემთხვევაში ისეთი ვითარება, გვაქვს, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ევროპის მშვიდობიანობის საქმეს.

ნავთის მუშაკთა თათბირი ამხ. ორჯონიკიძესთან

მოსკოვი, 21 ივნისი. 21 ივნისს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისართან ამხ. **ორჯონიკიძესთან** გაიმართა ნავთის გადამამუშავებელი ქარხნების მუშაკთა, კრეკინგებისა და მილანების მშენებელთა ფართო თათბირი. თათბირზე დასმულია ნავთის გადამამუშავებელი ქარხნების მომქმედი აგრეგატების სიმძლავრის მაქსიმალურად გამოყენებისა, აგებულ დანადგართა დროზე ამუშავებისა და ახალი მშენებლობისათვის მომზადების საკითხები.

საინფორმაციო მოხსენებებით ნავთის გადამუშავების პროგრამის შესრულებისა და კაპიტალური მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ გამოვიდნენ აზნავთქარხნების ტრესტის მმართველი ამხ. სლუცკი, გროზნავთქარხნების ტრესტის მმართველის მოადგილე ამხ. ნიურენბერგი, ბაქოს სტალინის სახელობის ქარხნის დირექტორი ამხ. პროზუმენტიკი, ვანო სტურუას სახელობის — ბაქოს ქარხნის დირექტორი ამხ. მარქარიანი და სარატოვის კრეკინგქარხნის მთავარი ინჟინერი ამხ. ბოგოსლოვსკი.

ამხ. პროზუმენტიკმა და მარქარიანმა, რომელნიც ამას წინათ ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნდნენ, თათბირს გააცნეს მთელი რიგი საინტერესო ცნობები ამერიკის ნავთის გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაობისა და მისი უკანასკნელი ტექნიკური მიღწევების შესახებ". (ადს).

ჩაი

კრეფა 20 ივნისისათვის

(საქ. მიწსახკომის ცნობების მიხედვით).

რაიონები	მოკრეფილია ჩაის ფოთოლი (კილოგრამობით)	[illegible]
ბათომის	113.982	70,7
ქობულეთის	540.776	74,0
გალის	214.069	79,0
ოჩემჩირის	62.423	81,0
მახარაძის	794.923	59,5
ჩოხატაურის	88.401	62,7
ლანჩხუთის	412.147	64,2
სამტრედიის	6.542	68,8
ხონის	6.586	126,6
ტყიბულის	10.700	73,2
სენაკის	69.491	45,6
მარტვილის	85.769	66,3
ზუგდიდის	325.691	72,5
წალენჯიხის	85.932	68,5
ჩხოროწყუს	44.789	73,7
ხობის	18.115	63,7
აჭარისტანის საბჭ. მეურ. ტრესტი	43.286	77,8
სულ	2.923.622	66,2

ივნისის ხუთმეტისათვის მოკრეფილი იყო 2.666.796 კილოგრამი — 60,4 პროც.

პარკის დამზადება 20 ივნისისათვის

(საქ. აბრეშუმტრესტის ცნობების მიხედვით)

რაიონები	დამზადებულია პარკი (ცენტნერობით)	[illegible]
ტფილისის	2,6	4,6
ბორჩალოს	12,4	26,0
საგარეჯოს	0,3	1,1
კასპის	2,3	4,8
გურჯაანის	90,8	40,7
სიღნაღის	71	35,2
ლაგოდეხის	**400,1**	**102,6**
თელავის	27	5,4
ყვარელის	210	40,0
ზესტაფონის	215,9	51,4
ჩხარის	39,9	12,3
ორჯონიკიძის	4,2	2,7
ქუთაისის	786,4	46,5
სამტრედიის	1 033,8	59,4
ხონის	766,1	52,0
ვანის	148	10,6
აბაშის	947	65,1
სენაკის	477,6	37,0
ფოთის	15,3	25,5
მარტვილის	90	5,4
ზუგდიდის	781,4	46,9
ხობის	308,2	32,1
წალენჯიხის	102,5	14,6
ჩხოროწყუს	290	32,0
მახარაძის	499,9	33,5
ლანჩხუთის	455,5	27,6
ჩოხატაურის	454,8	38,5
აჭარისტანი	47,2	30,4
აფხაზეთი	593,9	33,4
სულ	**8.874,1**	**35,5**

როგორც ამ ცნობებიდან ჩანს, აბრეშუმის პარკის დამზადება უკანასკნელ ხუთდღიურში თვალსაჩინოდ გაძლიერდა. **15—20 ივნისამდე დამზადებულია 6.913,4 ცენტნერი პარკი, ანუ მთელი გეგმის 27,7 პროცენტი.** (15 ივნისისათვის გეგმა შესრულებული იყო 7,8 პროც.).

პარკის დამზადების საუკეთესო მაგალითი მოგვცა **ლაგოდეხის** რაიონმა, რომელმაც საქართველოში პირველმა შეასრულა გეგმა.

შედარებით წინ მიდიან **აბაშის, სამტრედიისა და ხონის რაიონები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაე, კიდევ უფრო გაღვივდეს მშრომელთა მილიონებში საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის ცეცხლი

1929—1935

პროლეტარული სოლიდარობის პირველი საერთაშორისო დღე მოეწყო 1929 წ. ივნისში. იგი უმთავრესად გამოიხატა ბერლინის მუშათა გამოსვლებში. მუშათა დახმარების საერთაშორისო ამხანაგობის ბრანდენბურგის ორგანიზაციის ინიციატივით ამ დღეს გამოვიდა 20.000 მშრომელი.

მეორე დღე—1930 წ. უფრო ფართო გამოხმაურება ჰპოვა. მარტო ბერლინში გამოვიდა 150 ათასი მშრომელი. მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები შესდგა აგრეთვე გერმანიის სხვა მსხვილ ინდუსტრიალურ ქალაქში. სოლიდარობის დღე ამ წელს პირველად გაიმართა ავსტრიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ჰოლანდიაში და სხვ.

მესამე დღე—1931 წ. საბრძოლო პოლიტიკური ლოზუნგებით მოიმზადდა და მოეწყო მსოფლიო ეკონომიური კრიზისის გაღრმავების პირობებში.

მეოთხე დღის ჩატარებისას—1932 წ. უკვე გამოყენებულ იქნა წინა წლების დიდი პრაქტიკული გამოცდილება. ამ დღის ჩატარებაში თითქმის ყველა ქვეყნის მშრომელები მონაწილეობდენ. პროლეტარული სოლიდარობის დროშით მასობრივი დემონსტრაციები გაიმართა არამარტო ევროპაში, არამედ ამერიკის, აფრიკის და ავსტრალიის ქალაქებში. ამ დღის ჩატარებაში მუშებთან ერთად მონაწილეობა მიიღო მემარცხენე ინტელიგენციამ და წვრილი ბურჟუაზიის ნაწილმა.

მეხუთე დღე 1933 წ. მოეწყო უაღრესად დაძაბულ საერთაშორისო პირობებში, როცა გერმანიაში გაბატონდენ ფაშისტები, შორეულ აღმოსავლეთში გუგუნებდა საომარი ქვემეხები და ბურჟუაზიას სასტიკი ტერორი მიჰქონდა მუშათა კლასის საუკეთესო შვილებზე.

მეექვსე დღე შარშან დაემთხვა მსოფლიო მუშათა კლასის მემარცხენე ინტელიგენციის და გლეხობის თავგამოდებულ ბრძოლას ამხ. ტელმანის და ფაშიზმის სხვა მსხვერპლთა განთავისუფლებლად. ლეიპციგის პროცესის სამარცხვინო კრახმა, ამხ. დიმიტროვის ბრწყინვალე გამარჯვებამ, საბარიკადო ბრძოლებმა ავსტრიაში და ესპანეთში ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს ამხ. სტალინის აზრი, რომ მასების შეგნებაში მწიფდება შტურმის იდეა.

მეშვიდე დღე წელს ტარდება მთლიანი ფრონტის გაფართოების და გამაგრების, მუშათა საერთაშორისო სოლიდარობის შემდგომი განვითარების პირობებში, როცა საბჭოთა კავშირი წარმატებით აშენებს უკლასო სოციალისტურ საზოგადოებას და მსოფლიო პროლეტარიატი ირაზმება კომინტერნის დროშის ქვეშ.

□ □ □



ამხ. რაკოში

ყველა ქვეყნის მუშათა სოლიდარობისათვის

გ. დიმიტროვი

პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობა რევოლუციური მოძრაობის მძლავრი ფაქტორია. მან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჩვენს რუს ძმებს კონტრრევოლუციის დამხვრევაში და სოციალისტური მშენებლობის წარმატებაში. იგი არაერთი ქვეყნის მუშებს დაეხმარა მოეგერიებინათ მტრების შეტევა.

ის ფაქტი, რომ ფაშისტმა ჯალათებმა ვერ გაბედეს ამხ. ტელმანის მოკვლა, რომ უნგრეთის მუშათა ბელადს ამხ. რაკოშის ვერ მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, როგორც ეს სწადდათ უნგრეთის ფაშისტებს, რომ სასიკვდილოდ განწირული ბევრი რევოლუციონერი და ანტიფაშისტი ცოცხალი გადარჩა, — ყველა ეს უსათუოდ მუშათა საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის შედეგია.

დაე, წლევანდელი დღე იყოს კიდევ ერთი გადამწყვეტი ნაბიჯი ყველა ქვეყნის მშრომელთა და ინტელიგენციის საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის განმტკიცების გზაზე.

⁂

ვ. პიკი

გერმანიის კომპარტიის ც. კ-ის წევრი

ეს დღე ყოველწლიურად მოგვაგონებს ხოლმე იმ ამოცანას, რომელიც მუშათა საერთაშორისო დახმარების წინაშე დგას. ეს არის — მშრომელთა შორის კლასობრივი სოლიდარობის იდეის შთანერგვა და განხორციელება.

ჰიტლერის ფაშიზმი ამზადებს თავდასხმას საბჭოთა კავშირზე. გერმანიის პროლეტარებმა არ უნდა დაუშვან ამ ბოროტი გეგმების განხორციელება. საბჭოთა კავშირის დაცვა — ამავე დროს გერმანიის და ყველა კაპიტალისტური ქვეყნის მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების დაცვაა.

პროლეტარიატის კლასობრივი სოლიდარობა ერთადერთი გზაა მშრომელთა განთავისუფლებისაკენ, სოციალიზმისაკენ.

⁂

გ. პოლიტი

ინგლისის კომპარტიის ც. კ-ის წევრი

საერთაშორისო სოლიდარობის დღე წელს ტარდება იმ დროს, როცა ყველა კაპიტალისტური ქვეყნის მთავრობები აჩაღებენ კამპანიას ბურჟუაზიული პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის და შოვინიზმის გაღვივებისათვის. და ახლა ყველაზე მეტად საჭიროა ამ ტენდენციებს დაუპირდაპიროთ ჩვენი პროლეტარული ინტერნაციონალიზმი.

ჩვენ დაუყოვნებლივ დახმარება უნდა ვაუწიოთ ფაშიზმის მსხვერპლთ გერმანიაში და ესპანეთში. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ფაშიზმის ქვეყნებში და კერძოდ ინგლისში ციხეებიდან და საკონცენტრაციო ბანაკებიდან ყველა ანტიფაშისტის გასანთავისუფლებლად.

23 ივნისს ყველგან ხმამაღლა უნდა გაისმოდეს ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!".

⁂

გოტვალდი

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ც. კ-ის წევრი

ახლა, როცა ყველა ქვეყნის ბურჟუაზია ცდილობს ხალხთა მასები დარაზმოს შოვინისტური ომისათვის, ყველაზე მეტად საჭიროა კაცთმოძულეობის ამ კამპანიას დავუპირდაპიროთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეა და მოქმედება.

საერთაშორისო მუშათა დახმარება ისეთი ორგანიზაციაა, რომელმაც მრავალჯერ გვიჩვენა თავისი დიდი სარგებლობა მუშათა კლასისათვის.

ჩეხოსლოვაკიაში მან ჩაატარა დიდი მუშაობა კარპატების უკრაინის მშიერი მოსახლეობის დასახმარებლად. ამიტომ აკრძალა იგი მთავრობამ. მაგრამ ჩეხოსლოვაკიის მშრომელები აგრძელებენ ბრძოლას მისი ლეგალიზაციისათვის და ამ ლოზუნგით გამოდიან დღეს ქუჩაში.

⁂

ანრი ბარბიუსი

ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, საფრთხე ემუქრება ტელმანს, — ანტიფაშიზმის წარმომადგენელს, სიმბოლოს და ბელადს. რაკოშის მიუსაჯეს სამუდამო ციხე. ყოველდღე ახალ ანტიფაშისტებს ამწყვდევენ ჰიტლერის და მუსოლინის ციხეებში, მრავალი კაპიტალისტური ქვეყნების ციხეებში. ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, აუცილებელია გავაფართოვოთ საერთაშორისო კამპანია ანტიფაშიზმის მებრძოლთა დასახმარებლად.

მიუხედავად საბჭოთა კავშირის მშვიდობიანობის პოლიტიკისა, ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, ჩვენ მივდივართ ახალი იმპერიალისტური ომისაკენ. ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, უნდა გავაძლიეროთ მუშაობა გერმანიის და სხ. ქვეყნების მასებში, რათა მათ შესძლონ ომის გამჩაღებელ მთავრობათა ჩამოგდება და თავისი კლასობრივი ამოცანების განხორციელება.

⁂

რომენ როლანი

მე მთლიანად ვუერთდები მუშათა საერთაშორისო დახმარების დღეს. საერთაშორისო სოლიდარობის გრძნობა ისევ უნდა გაღვივდეს ყველას გულში.

ჩვენს დროში, როცა ატმოსფერო გაჟღენთილია ნაციონალიზმით, ფაშისტები და სოციალური რეაქცია რომ აღვივებს, ჩვენ თვითეული მუშის შეგნებაში უნდა ჩავნერგოთ, რომ მისი ნამდვილი სამშობლო მშრომელთა ინტერნაციონალია. ყველაფერი, რაც ამ სამშობლოს ემუქრება—ჩვენთვის უცხოა. ყველა, ვინც ამ სამშობლოსათვის ბრძოლაში დაეცემა, ჩვენ გვეკუთვნის.

⁂

ეგონ ერვინ კიში

მუშათა საერთაშორისო დახმარების დღესთან დაკავშირებით, მე მინდა მოგითხროთ, თუ როგორ გვიშველა ჩვენ, ჯერალდ გრიფინს და პირადად მე, ამ ორგანიზაციის ავსტრალიის სექციამ.

როგორც ომის და ფაშიზმის საწინააღმდეგო კონგრესის კომიტეტის დელეგატებს და არასასურველ სტუმრებს, ავსტრალიის მთავრობამ არ მოგვცა ნაპირზე გადასვლის უფლება. მაგრამ როცა ეს მოვახერხეთ, ჩვენ დაგვაპატიმრეს და მოგვისაჯეს 6 თვით იძულებითი მუშაობა და სასამართლოს ხარჯების გადახდა.

ამ ამბის გამო დაიწყო მუშათა დიდი მოძრაობა, რომელიც გავრცელდა მთელ მოსახლეობაზე. ამან აიძულა მთავრობა, თავიდან რომ მოვეცილებინეთ, გავეგზავნე ფაშისტურ გემზე. ეს გეგმა, რაც არსებითად ჩემს მოკვლას ნიშნავდა, ჩაიშალა გემის მეზღვაურთა წყალობით, რადგან მათ საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციამ ხელად აცნობა ყველაფერი.

მუშათა კლასის კამპანია იმით დამთავრდა, რომ მთავრობამ გადაიხადა სასამართლო ხარჯები და ჩვენი დამცველების ჰონორარიც. ამასთან, გერმანიის საკონსულოს პროტესტის მიუხედავად, მთავრობა იძულებული გახდა შეერიგებოდა ჩვენს საჯარო გამოსვლებს ფაშიზმის და იმპერიალისტური ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

თუ რა შეუძლია მუშათა საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციას, ამაში მე და ჯერალდ გრიფინი ჩვენს პირად მაგალითზეც დავრწმუნდით.

□ □ □

PROLETARIOS DE TODOS LOS PAISES
UNIOS!
SALUDO FRATERNAL A LA FEDERACION DE LAS REPUBLICAS SOCIALISTAS SOVIETICAS DE TRANSCAUCASIA

ტფილისში ჩამოვიდა მუშათა საერთაშორისო დახმარების ესპანეთის სექციის წარმომადგენელი, რომელიც ა.-კ. პროფორგანიზაციებს დღეს გადასცემს ესპანეთის რევოლუციური მუშების წითელ დროშას. დროშაზე ერთი მხრით გამოხატულია ჩაქუჩი და ნამგალი, წარწერით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" და მეორე მხარეზე „მეჟრაბპომის" ემბლემა წარწერით: „ესპანეთის მუშათა საერთაშორისო დახმარება" და „ძმური სალამი ამიერ-კავკასიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციას". სურათზე: ესპანეთის მუშათა დროშა.

თ. გლადკოვი

გვახსოვდეს!

გამოვგლიჯოთ ამხ. ტელმანი ფაშისტურ ჯალათებს!



ხუთი წლის წინათ მე რამდენიმე დღე ვიხეტიალე ბერლინში, ვედინგის კვარტალებში, იმ მიზნით, რომ ახლოს გავცნობოდი უმუშევრობით გაჭირვებაში ჩავარდნილი მუშების მდგომარეობა — ცხოვრებას.

მე ვნახე ბევრი სარდაფი და მიწური უზარმაზარ, შემოსავლიან სახლებში და ზოგიერთი ეგრეთწოდებული „ლაუბ-კოლონა". მე შემაძრწუნა სიღატაკის, შიმშილის, სიცივის და სრული უიმედობის იმ საშინელებებმა, რომელშიაც ათასობით პროლეტარი ცხოვრობდა. არ შემხვედრია არც ერთი ბუდე, სადაც არ მენახოს ავადმყოფი და შიმშილისაგან გაძვალტყავებული ადამიანები; სიბინძურეში, სინესტეში, სიბნელეში ირეოდენ ბავშვები, ცოლები. მოხუცები და თვით ოჯახის მარჩენალნიც.

მე ვნახე მუშები — სხვადასხვა კვალიფიკაციის კარგი ოსტატები. ისინი მზად იყვნენ სულ უმცირესი ხელფასისთვის ემუშავათ, სადაც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ისინი უიმედოდ იყვნენ განწირულნი უსაქმურობისა და შიმშილით სიკვდილისათვის. ისინი ჯერ კიდევ ამაყად ატარებდენ თეთრ საყელოებს, მაგრამ პიჯაკის ქვეშ სიტიტვლე და ჭუჭყი გამოსჩანდა. თვალთმაქცური „დახმარება" წარმოადგენდა ამ ადამიანების დაცინვას, რომლებიც გულით ეძებდენ არა საჩუქარს, არამედ პატიოსან სამუშაოს.

ისინი ცხოვრობდენ მხოლოდ საბჭოთა კავშირზე ოცნებით, ცოცხლობდენ ერთი მისწრაფებით, როგორმე მოხვედრილიყვნენ საბჭოთა კავშირში, თავიანთ კლასობრივ ძმებთან, რომლებიც ასე განსაცვიფრებლად და ასეთი წარმატებით აგებენ სოციალიზმს.

ისინი პირდაპირ გვერდებს მამტვრევდენ, რომ ერთი სიტყვა მაინც კარგად გაეგონათ საბჭოთა მუშის კულტურასა, ცხოვრებასა და მუშაობაზე.

და როცა მე მათ ვკითხე:

— რა იქნება შემდეგში, ამხანაგებო?

თითქმის ყველამ ერთიდაიგივე მიპასუხა:

— ბრძოლა, ამხანაგო!.. ბრძოლა გერმანიაში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებამდე. აჯანყება, მაგრამ არა დიდი ხნის შემდეგ, ამხანაგო... ჩვენ დიდი ამბები მოგველის...

— კი, მაგრამ თქვენ ჯერ მოუმზადებელნი ხართ, უიარაღონი... თქვენ განადგურებას გეპირობთ კაპიტალიზმი... ფაშისტები და სოციალ-გამცემლები...

და მე განმაცვიფრა მოულოდნელმა, ამაყმა, რწმენით და მუქარით სავსე პასუხმა:

— თქვენ უნდა იცოდეთ, ამხანაგო, ჩვენი ვედინგი, თქვენ ახლა საბჭოთა მიწაზე დგახართ...

სამწუხაროდ, მას შემდეგ, რაც ეს ამბავი მოხდა, ვედინგი, როგორც ბერლინის და გერმანიის სხვა ქალაქების ბევრი რაიონი, სასტიკად გაანადგურეს ჰიტლერის ყაჩაღურმა ბანდებმა.

და ახლა, როცა მე ვიგონებ ამ დღეებს, მრავალტანჯულ გერმანელ პროლეტარებთან, რომ გავატარე, მე ვფიქრობ საკატორღო ციხეებში, საკონცენტრაციო ბანაკებში ჩაყრილ ადამიანებზე, რომელთაც ფაშისტები ხოცავდენ და ხოცავენ.

რემედასთან ერთად, მუშათა საერთაშორისო დახმარება მთელი მსოფლიოს მშრომელთა ერთერთი საყვარელი ორგანიზაციაა. იგი ნამდვილ დახმარებას უწევს ყველა ქვეყნის მებრძოლ პროლეტარებს და რევოლუციონერებს.

მე მახსენდება იგივე ბერლინი: ქუჩებში, ლაუბ-კოლონებში, მე ვხვდებოდი ადამიანებს მუშათა საერთაშორისო დახმარების ნიშნით გულზე. ჩაქუჩ-ნამგალსა და წითელ ვარსკვლავთან ერთად, ისინი თვალში ეცემოდენ ადამიანს.

მუშათა საერთაშორისო დახმარება — ერთერთი მასობრივი რევოლუციური ორგანიზაციაა, რომელიც არა მარტო კვებავს და მატერიალურ დახმარებას უწევს პროლეტარული საქმისათვის მებრძოლთ და მათი ოჯახებს; იგი მუდამ ცოცხლობს მშრომელთა და რევოლუციონერთა გულებში, როგორც მოწოდების ხმა, რომელიც რაზმავს პროლეტარული სოლიდარობის ძალებს და უპირდაპირებს მათ იმპერიალისტურ ჯალათებს, ფაშისტებს და სოციალ-გამცემლებს.

ეს ძალა ყველგან და ყოველთვის აშკარად და უშიშრად აცხადებს:

„პროლეტარებო! მე თქვენს ინტერესებს ვიცავ, რადგან მე ვარ თქვენი კლასობრივი ორგანიზაცია, სადაც არ უნდა იყოთ თქვენ, ბარიკადებზე, მასობრივი გაფიცვების მოწინავე ფრონტზე, ციხეში თუ სხვაგან. როგორიც არ უნდა იყოთ თქვენ, მშიერი, ღატაკი, თუ შიშველი, — მე ყოველთვის თქვენთან ვარ, რადგან მე ვარ მსოფლიო პროლეტარიატის პირმშო და ვცოცხლობ და ვმაგრდები სოციალიზმის ქვეყანაში, — ყველა ქვეყნის მშრომელთა სამშობლოში. მუშათა საერთაშორისო დახმარება — ეს არის ძმური სოლიდარობის თქვენსკენ გამოწვდილი ნამდვილად საყვარელი ხელი, თავგანწირული, უხვი, ნამდვილად მძლავრი ხელი, რომელიც მთელი მშრომელი კაცობრიობის სახელით მოქმედობს".

უნდა ვამაგროთ და ვიზრუნოთ ამ ორგანიზაციაზე. დაე, ყველას გულში ჩაიბეჭდოს ერთი გრძნობა და ერთი მიზანი: ყველა ქვეყნის პროლეტარებმა უნდა მოაწყონ მთლიანი ფრონტი.

გვახსოვდეს, — რომ ყველა ქვეყნის მუშათა რევოლუციურმა სოლიდარობამ ხელი შეუწყო მძლავრი და საყვარელი სოციალისტური სამშობლოს — საბჭოთა კავშირის შექმნას!

გვახსოვდეს, რომ იმპერიალისტი მტაცებლები ამზადებენ საბჭოთა კავშირზე თავდასხმას. ვიყოთ ფხიზლად!

გვახსოვდეს, რომ ჩვენი სოციალისტური სამშობლო ბრწყინვალე მომავლისაკენ მიჰყავს ჩვენს დიდ კომუნისტურ პარტიას და მშრომელთა საქვეყნო ბელადს — სტალინს!

გვახსოვდეს და ვიბრძოლოთ კაპიტალის და ფაშიზმის ყველა ტყვეთა განთავისუფლებისათვის, გერმანიის პროლეტარების ბელადის ამხ. ტელმანის განთავისუფლებისათვის!

ვილი მიუნცენბერგი

მუშათა საერთაშორისო დახმარების კომიტეტის გენერალური მდივანი

მეშვიდე

პროლეტარული სოლიდარობა წარმოადგენს იმ ულრმესი შინაგანი კავშირის გამოხატულებას, რომლის უხილავი ძაფები აერთებს ყველა ქვეყნის ჩაგრულებს და გაყვლეფილთ. იგი წარმოადგენს იმ შეგნების გამოხატულებას, რომელიც კვლავ და კვლავ აღაფრთოვანებს მუშათა მილიონებს საერთაშორისო გამოსვლებისათვის.

პროლეტარული სოლიდარობის ისტორია, — ეს არის მშვენიერი სიმღერა მუშათა კლასის ასეული ათასი უსახელო მებრძოლის უსაზღვრო სიყვარულსა, თავგანწირულებასა და დაუცხრომელ მუშაობაზე. ათასობით მაგალითის დასახელება შეიძლება, როცა საერთაშორისო მუშათა კლასი დაეხმარა ყველას, როცა ამას კლასობრივი სოლიდარობის ინტერესები მოითხოვდა.

თითქმის ასი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც კარლ მარქსმა გამოსჭედა ისტორიის მამოძრავებელი ამაყი ლოზუნგი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!", მას შემდეგ, რაც მან 1848 წ. ამბების შედეგად ემიგრანტ მებრძოლ რევოლუციონერთა, ბელგიის გაფიცულ მუშათა და პარიზის კომუნის მსხვერპლთა დასახმარებლად პირადად გააჩაღა პირველი პრაქტიკული კამპანია, მას შემდეგ არ გაწყვეტილა საერთაშორისო სოლიდარობის კამპანიის ჯაჭვი. განსაკუთრებით გამაგრდა და გაფართოვდა იგი მსოფლიო ომის შემდეგ.

მოკლედ გადავავლოთ თვალი სოლიდარობის თუგინდ უმთავრეს კამპანიებს რომლებიც მუშათა საერთაშორისო დახმარებამ მოაწყო. 1921-22 წ. მოეწყო ვოლგის რაიონების მშრომელთა საერთაშორისო დახმარება; 1923 წ. იაპონიაში მიწისძვრის მსხვერპლთა დახმარების კამპანია; 1923-24 წ. გერმანიის მუშათა კლასისათვის მატერიალური და მორალური მხარისდაჭერა; 1925 წ. — ჩინეთის საყოველთაო გაფიცვის მხარისდაჭერა; 1926 წ. ფართო დახმარება ინგლისელ მემაღაროელთა საყოველთაო გაფიცვის მონაწილეებს მოვიგონოთ აგრეთვე ის უდიდესი დახმარება, რომელსაც თითქმის ათ წელზე მეტია რემედასი უწევს პოლიტპატიმრებს; საკკოს და ვანცეტის და დასასრულ ამხ. დიმიტროვის დასაცავად გაჩაღებული ფართო კამპანია, რომლის მძლავრმა ტალღამ თითქმის მთელი მსოფლიო მოიცვა. ასეთივე წარმატებით გაჩაღდა და ახლაც გრძელდება საერთაშორისო კამპანია ესპანეთის, ავსტრიის, იტალიის, პოლონეთის, ბალკანეთის ქვეყნების და განსაკუთრებით გერმანიის პროლეტარულ მებრძოლთა, ყველა ანტიფაშისტთა და კერძოდ ამხ. ერნსტ ტელმანის გასანთავისუფლებლად.

□ □ □

თვით იმპერიალისტურმა ომმაც კი, სამხედრო სასამართლოების და სოციალ-დემოკრატიული ბელადების მუხანათური გამცემლობის მიუხედავად, ვერ შესძლო რევოლუციური ავანგარდის საერთაშორისო სოლიდარობის კავშირის გაწყვეტა, მისი განადგურება. პირიქით, ომმა გამოიწვია რევოლუციური ავანგარდის შემდგომი შემჭიდროვება და მძლავრი კომუნისტური ინტერნაციონალის მთლიანი მსოფლიო კომუნისტური პარტიის შექმნა, რომლის სათავეში იდგა უკვდავი ლენინი და რომელსაც ახლა უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლებში მიუძღვის მსოფლიოს ხალხთა ბელადი, დიდი სტალინი. კომუნისტური ინტერნაციონალის ძალა და გავლენა დღეს დედამიწის ყველა კუთხეს წვდება.

დიდი მსხვერპლი შეიწირა სოლიდარობის ფრონტზე ბრძოლამ. მაგრამ ამას ამაოდ არ ჩაუვლია. როგორც საბჭოთა კავშირის და კომუნისტური ინტერნაციონალის არსებობა წარმოადგენს მშვიდობიანობის მძლავრ ფაქტორს და აფერხებს ახალი იმპერიალისტური ომის გაჩაღებას, ასე პროლეტარული სოლიდარობის დროშით მოწყობილმა არაერთმა საბრძოლო გამოსვლამ დიდად შეუშალა ხელი იმპერიალისტურ ყაჩაღებს თავს დასხმოდენ პროლეტარული დიქტატურის პირველ ქვეყანას. სწორედ ამიტომ ლაპარაკობდა ამხ. სტალინი მე-17 პარტყრილობაზე: საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს, რომ „დახმარებას არ უწევდეს კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასი, ის ვერ შეინარჩუნებდა ძალაუფლებას თავის ხელში, ვერ უზრუნველყოფდა პირობებს სოციალისტური მშენებლობისათვისაც, მას არ ექნებოდა ის წარმატებანი, რომელიც ახლა აქვსო".

კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთა ფართო მასების საშინელმა გაჭირვებამ და ფაშისტური ტერორის მრავალ ასეულ მსხვერპლთათვის დახმარების გაწევის აუცილებლობამ პროლეტარული სოლიდარობის ბრიგადებს დიდი ამოცანები დააკისრა. ეს ამოცანები აუცილებლად უნდა შევასრულოთ ჩვენ ვალდებული ვართ დავეხმაროთ კლასობრივ ძმებს უფრო მეტად, უფრო სწრაფად, ვიდრე ეს აქამდე ხდება. კლასობრივი ბრძოლის პრაქტიკა ყოველდღე აყენებს ამ ამოცანას ჩვენს წინაშე, განსაკუთრებით გერმანელ ამხანაგების მიმართ.

გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცეცხლოვანი მოწოდება ფაშისტების ტერორისტული ბატონობის წინააღმდეგ, რომელიც მაისის შუა რიცხვებში გამოქვეყნდა, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს გერმანიაში გამეფებულ უდიდეს ტერორზე, რასაც ისტორიაში პრეცედენტი არ ჰქონდა.

„300 ათასზე მეტმა პოლიტიკურმა პატიმარმა - ნათქვამია ამ მოწოდებაში გაიარა წამების კამერა და ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკები. საკონცენტრაციო ბანაკებში განაწამები 70 ათასზე მეტი მებრძოლი ახლა იტანჯება ციხეებსა და კატორღაში. 3.100-ზე მეტი ანტიფაშისტი მხეცურად აწამეს და მოჰკლეს ფაშისტურმა ჯალათებმა".

მაგრამ ურჩევია ფაშისტურ ჯურღმულებში ჩაყრილ პროლეტარიატის მებრძოლთა მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრებით გამოჭედილი რევოლუციური სული და ნებისყოფა, რომელიც ვერ გასტეხა დაუსრულებელმა წამებამ და ტანჯვამ. ამ ნებისყოფამ და სულმა დიმიტროვს მოაპოვებინა ფაშისტურ ჯალათებზე გამარჯვება; მან გამოსჭედა მოაბიტის ციხის პატიმრის ამხ. ტელმანის, გერმანიის პროლეტარიატის ბელადის შეუპოვრობა; მან მისცა ბუდაპეშტის სასამართლოში ბურჟუაზიისათვის ნიღაბის ჩამოგლეჯის ძალა ამხ. რაკოშის; მან გამოსჭედა ათასობით ამხანაგები, რომლებიც საკონცენტრაციო ბანაკებში, ციხეებში, კატორღასა და სასიკვდილოთა კამერებში იმყოფებიან.

და ჩვენს წმიდათაწმიდა ამოცანას წარმოადგენს ამ ნებისყოფის და სულის კიდევ უფრო გაკაჟება, პროლეტარული სოლიდარობის ფრონტის გაფართოვება და გაღრმავება.

ამ ფრონტის გაღრმავების გადამწყვეტ მომენტად შეიძლება და კიდეც უნდა გახდეს 23 ივნისი სოლიდარობის მე-17 საერთაშორისო დღე.

ეს დღე დაწესდა 1929 წ. მუშათა საერთაშორისო დახმარების ინიციატივით, რომელიც შემდგომ წლებშიც ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს მის ჩატარებას. დღევანდელ დღეს მუშათა საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციები ყველა ქვეყანაში მოაწყობენ გამოსვლას მუშათა სოლიდარობის იმ უბანზე, რომელიც დამახასიათებელია საერთაშორისო დახმარებისათვის, სახელდობრ გამოსვლებს სოციალ-პოლიტიკური ბრძოლის დარგში, მუშათა კლასის იმ რაზმების მხარის დაჭერისათვის, რომელიც აწარმოებენ პოლიტიკურ-ეკონომიურ ბრძოლას (გაფიცვები, ლოკაუტები და სხვ.) ბურჟუაზიასთან პროლეტარულ ბავშვთა დასახმარებლად და ა. შ.

მაგრამ სოლიდარობის საერთაშორისო დღე არასოდეს არ შემოფარგლულა და არც შეიძლება შემოიფარგლოს მარტო ამ ამოცანებით. წელსაც ის უნდა გახდეს ომის და ფაშიზმის წინააღმდეგ და მის მსხვერპლთა დასაცავად ფართო მასების დიდი საერთაშორისო გამოსვლის დღედ.

სხვადასხვა ქვეყნებში უკვე ჩატარებულია მზადება 23 ივნისს მუშათა კლასის მებრძოლებისათვის პროლეტარული მხარის დაჭერის ნამდვილად სახალხო ფრონტის შესაქმნელად. პარიზში ეწყობა პროლეტარული სოლიდარობის გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს კომუნისტური პარტია, სოციალისტური პარტია, მრავალრიცხოვანი პროფკავშირები, მუშათა სპორტის გაერთიანებული კავშირი, ქალთა და ახალგაზრდობის ორგანიზაციები, მუშათა სოციალ-პოლიტიკური და კულტურული გაერთიანებანი და თვით რადიკალ სოციალისტების (საფრანგეთის წვრილი ბურჟუაზიის ერთერთი პარტია) ჯგუფიც კი.

ლონდონში, ტრაფალგარის პარკში, ჰიტლერის ფაშიზმის მსხვერპლთა დახმარების კომიტეტი ყველა სხვა ანტიფაშისტურ ორგანიზაციებთან ერთად აწყობს დიდ მასობრივ დემონსტრაციას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, გაერთიანებული დემონსტრაციების გარდა, 23 ივნისს გაიხსნება პროლეტარული დახმარების ყველა ორგანიზაციის სრულიად-ამერიკის ყრილობა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვაგვარი მრავალი ადგილობრივი რეფორმისტული ორგანიზაცია.

სოლიდარობის დღე ჩატარდება ფაშისტური დიქტატურის ქვეყნებშიც. ჰიტლერის გერმანიაში კედლებსა და ღობეებზე უკვე თვის შუა რიცხვებში შეიძლებოდა გენახათ და წაგეკითხათ სოლიდარობის დღისადმი მიძღვნილი ლოზუნგები, რომლებიც ყოველდღე ხელახლა იწერება. სოფლებში, ეზოებში და სხ. აკრავენ პაწია ფურცლებს და მარკებს, რომლებზედაც გამოხატულია ჩაქუჩი და ნამგალი. 23 ივნისს გერმანიის და ავსტრიის ქალაქებში მოეწყობა სახელდახელო მიტინგები და არალეგალური კრებები. ამ დღეს უძლეველი პროლეტარული მებრძოლები თავიანთი შეუპოვარი გამოსვლებისათვის გამოიყენებენ არალეგალური ბრძოლის პირობებში შექმნილ ყველა ფორმას.

პროლეტარული სოლიდარობის საერთაშორისო დღეს ყოველ ქვეყანაში გაიმართება მუშათა კლასობრივი ძმობის მანიფესტაციები. ეს დღე პირველყოვლისა მიეძღვნება პოლიტიკურ პატიმრებს და ყველა ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლებისათვის მებრძოლთ. მაგრამ 23 ივნისის გამოსვლების მონაწილეთა გული განსაკუთრებული სიყვარულით აძგერდება გერმანიის კომუნისტური პარტიის და ანტიფაშისტური მთლიანი ფრონტის ძვირფასი ბელადის ერნსტ ტელმანის დასაცავად, ამხ. მადალენას და მიხაკისფერი ჰირის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა გმირის დასაცავად.

ეს მოხდება არა მარტო იმიტომ, რომ პროლეტარული განთავისუფლებისა და მშვიდობიანობისათვის მებრძოლთა გერმანიის არმია ეკუთვნის პროლეტარიატის ყველაზე მეტად გმირულ და გამბედავ რაზმებს, არამედ იმისთვისაც, რომ საერთაშორისო პროლეტარიატს სავსებით სწორად მიაჩნია ფაშისტური გერმანია თავის უმთავრეს მტრად და ჰიტლერის შეიარაღება — ომის უშუალო საფრთხედ.

შოვინისტური შხამის გასაძლიერებლად გერმანიის ფაშიზმმა გამოიგონა „სისხლის და რასის" განსაკუთრებული „თეორია". ახლა იგი ცდილობს დამშეული მასებისათვის შეწირულებათა მოწყობით აჩვენოს ქვეყანას „ნაციონალური სოლიდარობა". იგი ამტკიცებს, რომ ინტერნაციონალური სოლიდარობა არ არსებობს. ამავე დროს კი ფაშისტებს ეშინიათ მათი „თეორიის" მიხედვით არარსებული პროლეტარული სოლიდარობისა და ეშინიათ სამართლიანად, რადგან პროლეტარულმა სოლიდარობამ ჰიტლერის ფაშიზმს არაერთხელ დაჰკრა და მაგრადაც დაჰკრა.

გერმანიის ფაშისტები იძულებული გახდენ უკან დაეხიათ ინტერნაციონალური სოლიდარობის ძალის წინაშე და გაენთავისუფლებინათ ამხ. დიმიტროვი, რომელსაც გერინგი ჩამოხრჩობით ემუქრებოდა. ჰიტლერს აქამდის ვერ დაუვიწყნია ეს მისთვის არასასიამოვნო ფაქტი.

თავის ცნობილ სიტყვაში რეიხსტაგში, 21 მაისს, იგი აშკარად თავს დაესხა ემიგრანტებს, რომლებიც პარიზსა და პრაღაში გაზეთებს და ჟურნალებს უშვებენ და უცხო სახელმწიფოებში კონტრ-პროცესებს აწყობენ. (მას ალბად მხედველობაში ჰქონდა ლონდონის „კონტრპროცესი" რომელმაც გამოამჟღავნა რეიხსტაგის ნამდვილი ცეცხლწამკიდებლები; ნიუ-იორკის საგამომძიებლო კომისია გერმანიაში ფაშისტურ მხეცობათა შესახებ და სხვ. ამ საგამომძიებლო კომისიებში და სასამართლოებში წევრებად იყვნენ გამოჩენილი იურისტები და სხვადასხვა ქვეყნების ინტელიგენციის წარმომადგენლები.)

ჰიტლერი ღრმად შეშფოთებულია „არარსებული" პროლეტარული სოლიდარობით. ამ შეშფოთებას ახლა კიდევ უფრო აღრმავებს ის, რომ გერმანიის იმპერიალიზმს, რომელიც მიზნად ისახავს ომის მოწყობას სხვისი ტერიტორიის ხელში ჩასაგდებად, არ შეეძლო არ დაეწყო მასობრივი რეზერვებით დიდი არმიის შექმნა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პროლეტარიატს ხელში მისცეს იარაღი.

გერმანელი ფაშისტები უდიდეს ღონისძიებას ხმარობენ იმისათვის, რომ მუშათა კლასში ჩაჰკლან პროლეტარული სოლიდარობის გრძნობა და შეგნება. მაგრამ ამაოდ. ვერავითარი ცენზურა და აკრძალვა, ვერავითარი საკონცენტრაციო ბანაკები და ჩინური კედლები ვერ უშველით მათ. ინტერნაციონალური სოლიდარობის და კლასობრივი ბრძოლის იდეები, ჯავშნიანი კედლების და ზღუდეების მიუხედავად, ჩვენი ბრძოლის წყალობით იჭრებიან ფართო მასებში. ეს იმას ნიშნავს, რომ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვა კომუნიზმი.

მთელი ძალებით, თავგამოდებით და ანთებული გულებით გავსწიოთ წინ, პროლეტარიატის მებრძოლთა განთავისუფლებისათვის, პროლეტარული ლეგიონების მხარისდაჭერისათვის, პროლეტარული სოლიდარობის გამარჯვებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციტრუსები

მანდარინის უხვ მოსავალს მოელიან

(ბათუმის რაიონი)

სოფ. ქირთაბათომის კოლმეურნეობა „აჭარის" ციტრუსოვანი ნარგავები კარგად არის მოვლილი. ამ ციტრუსებს თავს დასტრიალებენ ამხ. ხულეიმან ისპიროღლის და ისაკ პეტრიდის ბრიგადები, რომლებიც დროულად თოხნიან, წამლავენ და თვალის ჩინივით უვლიან კოლმეურნეობის ბაღნარს. ციტრუსები ცალკე ნაკვეთებად არის დაყოფილი, ყოველ ნარგავს საკუთარი პასპორტი აქვს.

პირველი ბრიგადის ხელმძღვანელს ამხ. ისაკ პეტრიდს იცნობენ, როგორც საუკეთესო კოლმეურნეს, სოფ. მუშაკს. მის ბრიგადას აქვს 1945 ძირი მანდარინი, 30 ძირი ფორთოხალი, 8 ჰექტ. ჩაი და სხვა სუბტროპიკული ხეხილი. ციტრუსების ყველა ნარგავი და ჩაის ბუჩქი კარგად გამოიყურება. ამხ. ისაკის ბრიგადა კოლმეურნეობაში გამოირჩევა თავისი დამკვრელური და მუყაითი მუშაობით. მისი ბრიგადის ყოველი წევრი ცდილობს სავსებით კარგად მოუაროს ციტრუსებს და მიიღოს უხვი მოსავალი. მაგალითად, კოლმეურნემ ოხმან ფალავამ (პეტრიდის ბრიგადის წევრია) მასზე გაპიროვნებულ მოსავლიანი მანდარინის თვითეული ნარგავის ძირში 100—150 გრამი მინერალური სასუქი შეიტანა. ხოლო ამხ. ისპიროღლიმ თავის ბრიგადის ზოგიერთ ნაკვეთზე, სადაც ციტრუსებს უფრო მეტი მოვლა ესაჭიროება, შეიტანა 150—250 გრამი სასუქი.

ნაკვეთზე მიმაგრებული პირები ყოველდღე ათვალიერებენ ნარგავებს, ეცნობიან ციტრუსების მდგომარეობას.

გამოცდილების გაზიარების მიზნით ბრიგადები ერთი მეორეს სისტემატურად აცნობენ ნამუშევარს. ამას წინათ ამხ. ი. პეტრიდის ბრიგადამ დაათვალიერა ისპიროღლის ბრიგადის ნაკვეთები. აღმოჩნდა, რომ მათ შეწამვლის დროს შაბი მეტი მოსვლიათ და ზოგიერთ მანდარინის ტოტზე დაუზიანებიათ ახალი ნაყოფი. ეს საკითხი ბრიგადებსა და მთელს კოლმეურნეობაში დაამუშავეს. ამის შემდეგ კოლმეურნეობაში ციტრუსების შეწამვლა კარგად ხდებოდა.

მუშაობის დამთავრების შემდეგ ბრიგადებში იწვევენ 15-20 წუთიან თათბირებს, სადაც აჯამებენ გაწეულ მუშაობას და ადგენენ შემდეგი დღის სამუშაო გეგმას. ამიტომაც არის, რომ ისინი დავალებებს ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებენ. მათ ვადაზე ადრე დაამთავრეს 3500 ძირი მანდარინის, 80 ძირი ფორთოხლისა და ლიმონის პირველი გათოხნა და შეწამვლა.

კოლმეურნეობა „აჭარის" დამკვრელები აცხადებენ, რომ ისინი წელს მოჰკრეფენ 250.000 ცალ მანდარინს, ე. ი. 4-ჯერ იმაზე მეტს, რაც შარშან მოკრიფეს.

ჯ. შამილაძე

შევარჩიოთ საუკეთესო სადედეები ციტრუსების მყნობისათვის

საქართველოში წელს უნდა დაიმყნოს 2.106.000 ძირი ციტრუსი. აქედან მანდარინი 1.715.000 ძირი, ლიმონი—250.000 ძირი, ფორთოხალი—78 ძირი და გრეიფრუტი—63.000 ძირი.

ამ დავალების მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამყნობი მასალის შერჩევას. ჩვენში არსებულ ციტრუსოვანთა პლანტაციებში ჯიშით დიდ სიჭრელეს ვხედავთ. მაღალ-ხარისხოვან ჯიშთან ერთად გაშენებულია დაბალი ხარისხის ჯიშის ხეებიც. ამ ნარგავების ნაკლებ მსხმოიარობა, სხვათაშორის, თვით ჯიშების დაბალი ღირსებითაც აიხსნება. საჭიროა ციტრუსების რგვა ვაწარმოოთ კარგი მსხმოიარე თვისების ნერგებით.

ციტრუსოვანთა საზაფხულო მყნობის კამპანიასთან დაკავშირებით, საქ. მიწსახკომის სუბტროპიკული სამმართველო 1 ივლისიდან იწყებს საუკეთესო სადედე ხეების ინდივიდუალურად შერჩევას (აპრობაციას) მყნობისათვის.

სადედე ხეების აპრობაცია გატარდება: მახარაძის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, ფოთის, ხობის, სენაკის რაიონებში, აფხაზეთსა და აჭარისტანში.

სადედე ხეებად უნდა გამოიყოს ჯიშების ამტანი, დიდმოსავლიანი, სრული და ნილი ნაყოფის მომცემი ჯიშის ხეები. ასეთი ხეები დაინომრება და თვითეულზე შედგენილი იქნება პასპორტი.

საჭიროა ციტრუსოვანი კულტურების სანერგეების მიმაგრება უახლოეს სადედე ხეებზე. მხოლოდ ამ ხეებიდან უნდა აიღონ სამყნი (კალმები) მასალა.

სადედე ხეებს განსაკუთრებული მოვლა - პატრონობა ესაჭიროება. სადედეები სამყნ მასალად გამოყენებული იქნება როგორც წელს, ისე შემდეგ წლებშიც. ცხადია, ამ საქმეზე გამოყოფილი ბრიგადები ვერ უზრუნველყოფენ ამ სამუშაოს მაღალ-ხარისხოვნად და თავის დროზე შესრულებას, თუ მათ ყოველდღიურ დახმარებას და ხელმძღვანელობას არ გაუწევს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები.

აპრობაციის დამთავრების უკანასკნელი ვადა—პირველი აგვისტოა. საჭიროა მუშაობის იმნაირად წარმართვა, რომ სამყნი მასალის მომარაგებით უზრუნველვყოთ მყნობის გეგმის წარმატებით შესრულება.

ციტრუსების სადედეების აპრობაცია საპასუხისმგებლო სამუშაოა. ამ საქმეში უნდა ჩავაბათ არა მარტო აგრონომები, არამედ გამოცდილი კოლმეურნეებიც.

აგრ. დ. რამიშვილი.

პარკის დამზადება

მიუხარიათ პუნქტებისაკენ

თელავი, 20 ივნისი (საკ. კორ.). რაიონში აბრეშუმის პარკის მიღება 18 ივნისიდან დაიწყო. დამკვრელი მეაბრეშუმეები პუნქტებისაკენ სიხარულით მიეშურებიან.

თელავის წარჩინებულმა მეაბრეშუმემ ნატო ზატიკაშვილმა მთელს რაიონში პირველმა ჩააბარა სახელმწიფოს 40 კილოგრამი პარკი. მან თავისი გეგმა საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა.

სოფ. ქისტაურის მოწინავე მეაბრეშუმემ მელანო დურგლიშვილმა ნახევარი კოლოფი თესლიდან პუნქტს 42 კილომდე პარკი ჩააბარა.

პარკის მიღება ქვემო-ალვანში და ფშაველშიც დაიწყო.

მიმღები პუნქტები უზრუნველყოფილი არიან როგორც ფულით, ისე აბრეშუმის ქსოვილებით. პუნქტებს ხელმძღვანელობენ გამოცდილი სპეციალისტი — მეაბრეშუმეები და კომკავშირლები.

ყარაჯალის სასოფლო საბჭომ პარკის გეგმის გადაჭარბებით შესრულების მიზნით სოცშეჯიბრებაში გამოიწვია რაიონის ყველა სასოფლო საბჭო.

არ. კოკილაშვილი.

გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ

ჩხოროწყუ, (საკ. კორ.). წელს რაიონში უნდა დამზადდეს 90.500 კილო პარკი. დამზადება 11 ივნისიდან დაიწყო. 15 ივნისისათვის მიღებული იყო 3.590 კილოგრამი (გეგმის 4 პროც.).

მეაბრეშუმე - კონტრაქტანტები პარკის დამზადების გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ. მაგალითად, სოფ. ლეწურწუმის მცხოვრებმა ივანე წურწუმიამ ერთი კოლოფიდან 30 კილოგრამის ნაცვლად პუნქტს 59 კილო პარკი ჩააბარა. სოფ. ხაბუმის მცხოვრებმა მიხ. შენგელიამ ერთი მესამედი კოლოფიდან ჩააბარა 24 კილოგრამი და ა. შ.

წელს შარშანდელზე მეტი და უკეთესი ხარისხის მოსავალია მოსალოდნელი.

რაიონი იბრძვის სოცშეჯიბრებაში პირველობისათვის.

შ. ზარანდია

ვინ აჭიანურებს სასწორების შეკეთებას

ჯუღელი, (საკ. კორ.). რაიაბრეშუმის განყოფილებამ, რომელიც მომსახურებას უწევს ქიათურის, ხარაგოულის, ჩხარის და ჯუღელის რაიონებს, წელს უნდა დაამზადოს 98.380 კილო პარკი. მიმღებმა პუნქტებმა პარკის პირველი მოსავალი 11 ივნისს მიიღეს.

ცხრაწყაროელმა კოლმეურნე სერაფიმა კაპანაძემ ნახევარი კოლოფი თესლიდან სახელმწიფოს 38 კილოგრამი პირველი ხარისხის პარკი ჩააბარა. ამაში სერაფიმამ მიიღო 279 მანეთი და 30 კაპ. მას საქარხნო ფასებში მისცეს 70 მ. აბრეშუმის ქსოვილი და აგრეთვე პრემია-წანამატი; ჯუღელელმა კატო ჯოჯუამ ნახევარ კოლოფ თესლიდან 34 კილო პარკი ჩააბარა.

უნდა აღინიშნოს, რომ „საქრემონტ სასწორის" ჯუღელის განყოფილება აჭიანურებს რაიაბრეშუმის სასწორების შეკეთებას. ორ კვირაზე მეტია შესაკეთებლად ორი სასწორი გადაეცა, მაგრამ 18 ივნისისათვის სასწორები კიდევ არ იყო მზად.

ტერ. ნაროუშვილი.

10.000 კილოგრამი პარკი

ვანის რაიონში აბრეშუმის პარკის კარგი მოსავალი იძლევა იმის გარანტიას, რომ წელს რაიონი მოცემულ გეგმას 139.500 კილოგრამის რაოდენობით გადაჭარბებით შეასრულებს. რაიონში 17 ივნისისათვის უკვე მიღებული იყო 10.000 კილოგრამი პარკი.

წარჩინებული მეაბრეშუმეები პარკის დამზადების დავალებას წარმატებით ასრულებენ. მაგ. ბათლომე აბრამიძემ ერთ კოლოფ თესლიდან 31 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს 76 კილოგრამი პარკი ჩააბარა (გეგმა 245 პროც. შეასრულა), სალხინოელ დონა ეფრემიძეს ნახევარი კოლოფი თესლიდან უნდა ჩაებარებინა 15,5 კილო პარკი, ფაქტიურად ჩააბარა 43 კილო. ასეთი მეაბრეშუმეები რაიონში ბევრია.

შ. სანიკიძე

* * *

საცდელი მცენარის ხუმბულის (გიაცინტის) სანერგე სოხუმში.

ყაზბეგის მუზეუმი

24 ივნისს სახ. განათ. კომისარიატის მიერ დანიშნულია ყაზბეგის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის საზეიმო გახსნა. წელიწადზე მეტია, რაც განსახკომი ამ მუშაობას ეწევა. ყაზბეგის ყოფილი სასახლე კაპიტალური რემონტის შემდეგ საუცხოო სამუზეუმო შენობად გადაიქცა, რომელსაც შეუძლია მთელი კუთხე დაამშვენოს. მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტისა და საქართველოს ცენტრალური მუზეუმის მუშაკთა საშუალებით უკვე მოწყობილია ეთნოგრაფიული და ისტორიული განყოფილება.

განსაკუთრებით იშვიათი მნიშვნელობით არის მოწყობილი ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას დარბაზები. ახალგაზრდა მკვლევარებმა დიდძალი, ჯერ სულ უცნობი მასალა დააგროვეს ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედების, ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მასალები ჩამოტანილია გორიდან, ჩარგალიდან, შირაქიდან და სტეფანწმინდიდან.

სახალხო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძემ მუზეუმის შეკვეთით გამოაქანდაკა ვაჟა-ფშაველას ბიუსტი.

საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ მოაწყო გეოგრაფიული კაბინეტი, სადაც წარმოდგენილია საბჭოთა ალპინიზმის ისტორია და კერძოდ მყინვარწვერზე ექსპედიციების უძვირფასესი მასალები.

ყაზბეგის მუზეუმი ზაფხულის სეზონს ორგანიზებულად გამოიყენებს. განზრახულია მოეწყოს მთელი რიგი ექსპედიციები გეოლოგიის, ზოოლოგიის და ბოტანიკის ექსპონატების შესაგროვებლად. აგრეთვე შეგროვდება და ჩაიწერება ხალხური ლექსები და სიმღერები ფშავების, მოხევეების, ხევსურების, ოსებისა და სხვა მთიელ ხალხთა. ექსპედიციებს უხელმძღვანელებენ საქართველოს მუზეუმის მეცნიერი მუშაკები.

პროლეტარული ტურისტების საზოგადოება და „ინტურისტი" აწყობენ თავიანთ კუთხეებს.

პუშკინის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით ყაზბეგის მუზეუმში გაიხსნება გამოფენა „პუშკინი საქართველოში". ამ გამოფენაზე პუშკინის გარდა წარმოდგენილი იქნებიან მთელი რიგი უცხოელი მწერლები, რომელთა შემოქმედება და ცხოვრება დაკავშირებული იყო საქართველოსთან, როგორიცაა: ლ. ტოლსტოი, მ. ლერმონტოვი, ა. მარლინსკი, ალ. დიუმა, მაქსიმ გორკი, კნუტ ჰამსუნი და სხვ.

საბჭოთა მხატვრების კავშირის ინიციატივით ყაზბეგის მუზეუმის შენობა გამოყენებული იქნება მხატვართა სურათების მუდმივი გამოფენისათვის, შეკრებილი იქნება მთის ხალხთა ცხოვრებიდან აღებული სურათები.

განსაკუთრებული ადგილმდებარეობა დარიალის ყელთან, საბჭოთა საქართველოში შესასვლელ კარებთან და ბუნებისა და ყოფაცხოვრების მრავალმხრივობა ყაზბეგის მუზეუმს საკავშირო მუზეუმის ხასიათს აძლევს.

მხოლოდ საქართველოს სოციალისტური კულტურის მძაფრი ზრდისა და კომუნისტურ პარტიის კონკრეტული ხელმძღვანელობის დროს შეიქნა შესაძლებელი ამ ჩამორჩენილ კუთხეში ასეთი კულტურის კერის გაჩაღება. დიდი შრომა მიუძღვით ამ საქმეში ადგილობრივ რაიონის პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს.

ყაზბეგის მუზეუმის მნიშვნელობა ახალი კულტურულ კადრების შექმნისა და სამეცნიერო - კვლევითი მუშაობის გაჩაღების საქმეში, მეტად თვალსაჩინოა. განსახკომს და მწერალთა კავშირს მართებთ უფრო გააღრმავონ და გაშალონ მეორე რიგის სამუშაო და ყაზბეგის მუზეუმი გადააქციონ რაიონის კულტურულ ცენტრად. მრავალრიცხოვან პროლეტარულ და უცხოელ ტურისტებს შესაძლებლობა მიეცემათ საფუძვლიანად გაეცნონ საბჭოთა საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას. ამით აღიკვეთება ის იგავ-არაკები და საეჭვო ლეგენდები, რომლითაც აკვებობდნენ რევოლუციამდე სამხედრო გზაზე მიმავალი მგზავრები. გარდა ისტორიულ-კულტურულ წარსულისა ყაზბეგის მუზეუმი დარიალის კარებთან აღნუსხავს, თუ როგორ შენდება სოციალიზმი ამ კლდოვან მხარეში და როგორი ტემპებით იცვლება ჩვენი ქვეყნის სახე სოციალისტურ ეპოქაში.

ტ. ყაზბეგელი

ინგლისელი ბოტანიკოსები ტფილისში

ტფილისში ჩამოვიდა ინგლისის მეცნიერთა ჯგუფი — ლონდონის ბოტანიკური ბაღის „კიუ-გარდენსის" ბოტანიკოსები. ჯგუფს მეთაურობს პროფესორი ჯუზეპი. ჩამოსულთა შორის არიან: ცნობილი ბოტანიკოსი ინკვერსენი, დოქტორი ჯენკინსი და ორი სტუდენტი.

ჯგუფი მოგზაურობს ამიერ-კავკასიაში კავკასიის ფლორის, კერძოდ მაღალმთიანი ფლორის ნიმუშების შესაგროვებლად. ინგლისელი ბოტანიკოსები უკვე იყვნენ ყაზბეგში, იალბუზზე და ალაგეზზე.

ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ ძირეულ პრესას და მუშკორებს

ბოლშევიკური პრესის თვითეული მიღწევა მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალისტური მშენებლობის დამკვრელ მუშკორებთა და საერთოდ ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა მოძრაობის გიგანტიურ ზრდასთან.

პრესა ბასრი იარაღია პარტიის ხელში, ის რაზმავს მშრომელთა მილიონებს ახალ გამარჯვებათა მოსაპოებლად სოციალისტური მშენებლობის თვალუწვდენელ ფრონტზე.

დღეს გაზეთები მობიბინე ჯეჯილივითაა მოფენილი ჩვენი მშენებლობის ყველა კუნჭულში და აწვდის მასებს კულტურულ - პოლიტიკურ საზრდოს.

ყველა ეს მიღწევა გამომდინარეობს პარტიული ხელმძღვანელობიდან. ეს საქმე განსაკუთრებით კარგად დაყენებულია. იქ, სადაც მუშკორებისადმი პარტიულ ხელმძღვანელობას სათანადო ყურადღება ექცევა, სადაც პარტიული მუშაობის სხვა საკითხებთან ერთად წინა პლანზეა დაყენებული მუშკორებისა და საერთოდ ძირეული პრესის ხელმძღვანელობის საკითხები.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილებაში, რომელიც სპეციალურად ეხება ძირეული (საფაბრიკო - საქარხნო სარეწაო) პრესის ფურცლებზე პარტიული ცხოვრების გაშუქების, კადრების შექმნის, და მათზე ხელმძღვანელობის გაცხოველების საკითხებს; აღნიშნულია: **„საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელობა ყოველი გაზეთის მუშაობაზე"**, ამასთან ერთად **„საფაბრიკო - საქარხნო და სარეწაო გაზეთების უმნიშვნელოვანეს გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს მუშკორთა მტკიცე ბირთვის შექმნა, პარტიული აქტივისა და რიგითი კომუნისტების წრიდან"** ყოველივე ეს ნათლად ლაპარაკობს მუშკორთა კადრების შექმნის და მათი გამტკიცების აუცილებლობაზე; რომ გაზეთის გვერდებს ავსებდეს წერილები დამკვრელი მუშების და კოლმეურნეებისა, რომლებიც ანხორციელებენ პარტიის ლოზუნგს ჯანსაღი თვითკრიტიკის შესახებ, არსებული ნაკლოვანებათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

სამწუხაროდ არიან ისეთი ძირეული პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც არ აქცევენ ყურადღებას ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს. ამით აიხსნება ზოგიერთი მრავალტირაჟიანი და კედლის გაზეთების „კუსტარული" მუშაობა ხშირად ასეთ გაზეთებს არა ყავთ მუშკორთა მტკიცე კადრი, გაზეთი იწერება რედაქციის ორიოდე თანამშრომლის მიერ, არ აწარმოებენ არც მუშკორთა აღრიცხვას, არც რაიმე მუშაობას მათ შორის. მაგ. მრავალტირაჟიანი გაზ. „მუშა მეტყველი" (ფეხსაცმელების ფაბრიკა) რედაქციის პასუხისმგებელი მუშაკები არ იცნობენ თავიანთ მუშკორებს. გაზეთი ზოგჯერ თვეობით იგვიანებს. კიდევ უარესია № 7 სამკერვალო ფაბრიკის გაზ. „მკერავი მშენებლის" რედაქციის მუშაობა. ამ რედაქციის ერთერთი პასუხისმგებელი თანამშრომელი აცხადებს: **„კედლის გაზეთების მუშაობა ჩვენ რას გვეხებაო"**. ფაბრიკაში საამქროს კედლის გაზეთი არ გამოსულა 1934 წლის 7 ნოემბრის შემდეგ, რედაქციის სრულებით არ გახსენებია პრესის დღე.

ყოველივე ეს უმთავრესად იმის შედეგია, რომ ზოგიერთ პარტიულ კომიტეტებს მუშკორთა შორის მუშაობა და საგაზეთო საქმის წინწაწევის ამოცანები სხვათაშორისო საქმედ მიაჩნიათ.

პარტრაიკომებმა და საქარხნო-საფაბრიკო პარტკომებმა თავიანთი მუშაობის ერთერთ ამოცანად უნდა დაისახონ საგაზეთო კადრების შექმნა. იბრძოლონ მუშკორთა ცოდნის ამაღლებისათვის.

ჩვენ მოგვეპოვება საშუალება შევქმნათ საგაზეთო კადრები. ინდუსტრიალური მშენებლობის წიაღში თავმოყრილია დაუშრეტელი ენერგიით აღსავსე ახალგაზრდობა: პარტიული ორგანიზაციების და გაზეთების გადაუდებელი ამოცანაა ზრუნვა ამ ძალების წამოყენებისათვის, რათა საგაზეთო მუშაობის ხარისხი ავიყვანოთ ისეთ სიმაღლემდე, რომელსაც მოითხოვს ლენინ-სტალინის პარტია.

ნ. კიკვაძე.

პ. შენგელია

ნამოხვანჰესის ბიუროს მთავარი ინჟინერი

რიონი, როგორც მორიგი ჰიდრომშენებლობის ობიექტი

თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირეძალოვან ჰიდროსადგურებს, ჩვენი ქვეყნის ჰიდრომშენებლობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან იწყება: ზაჰესი, აწჰესი, რიონჰესი და სხვა მრავალი შედარებით მცირე ჰიდროსადგურის აგება მხოლოდ საბჭოთა პერიოდს ეკუთვნის.

თუ პირველ ხანებში ჩვენ იძულებული ვიყავით ანგარიში გაგვეწია და გვერდი აგვევლო ტექნიკური სიძნელეებისათვის, დღეს ჩვენი ჰიდრომშენებლობის განვლილი გზები და მიღწეული შედეგები მოწმობს, რომ ამ მხრივ უკვე მივუახლოვდით მოწინავე ქვეყნებს. დნეპროჰესი, დაწყებული მშენებლობა ხრამჰესისა, რომელიც არა მარტო სიმძლავრით (130.000 ცხ. ძალა), არამედ იშვიათი ენერგეტიული თვისებებითაც გაცილებით მაღლა დგას დღემდის აგებულ ყველა ჰიდროსადგურზე— ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს.

ხრამჰესსა და ტყვარჩელის თბოსადგურის საერთო გადამცემ ქსელში შერთვა სავსებით მოაწესრიგებს საქართველოს ყველა ელსადგურთა მუშაობას. მთელი წლის განმავლობაში ელენერგიის მიწოდება იწარმოებს მოთხოვნილების მიხედვით. მაგრამ მათი ექსპლოატაციაში შესვლა მხოლოდ დროებით დააკმაყოფილებს ელენერგიის მოთხოვნილებას, რომელიც დღითიდღე იზრდება. ბუნებრივად დგება მომავალ ჰიდრომშენებლობის საკითხი.

რამდენიმე თვის წინათ საკავშირო ჰიდროელექტრო პროექტის მთავარი კონსულტაციის საექსპერტო კომისიამ განიხილა ყოფილ მტკვარ - რიონის ბიუროს (ზაკგიდეპი) მიერ წარმოდგენილი საქართველოს მძლავრი მდინარეების — რიონის, ცხენისწყლის, მტკვრისა და ენგურის გამოყენების ყველა დღემდე არსებული ენერგეტიული სქემები. ამას გარდა შუა რიონის ბიუროს მიერ (ამჟამად ნამოხვანჰესის ბიურო-საქგიდეპი) წარმოდგენილი იყო შუა რიონის გამოყენების საქმეც.

კომისიამ ა.-კ. ჰიდრომშენებლობის მომავალი გეგმა მეოთხე ხუთწლედის ბოლომდე ორ ეტაპად გაჰყო—„პირველ ეტაპში (1944 წლამდე) გამოყენებული იქნება საიმშენებლო პირობების მიხედვით ადვილად განსახორციელებელი და გეოლოგიურად საიმედო ენერგეტიკული „წერტები", რომლებიც უზრუნველყოფენ 3,5—4 მილიარდ კილოვატ საათ მაღალხარისხოვანი ენერგიის გამომუშავებას"— ასეთ პირველ რიგის ობიექტებად კომისიამ რიონ-ცხენისწყლიდან მიიჩნია შუარიონის ჰიდროსადგურები — სორის, ნამოხვანი პირველი და ნამოხვანი მეორე—ცხენისწყლის გადმოგდებით რიონში. ამ სამი ჰიდროსადგურის მთლიანად მოწესრიგებული ენერგიის წლიური გამომუშავება აღემატება 4,2 მილიარდ კ-საათს, რაც გადაჭარბებით აკმაყოფილებს ელენერგიის მოთხოვნილებას პირველ ეტაპზე.

მოყვანილი ცნობები ნათლად ადასტურებს, რომ ისეთი უდიდესი ავტორიტეტული საკავშირო ორგანიზაცია, როგორც ჰიდროელექტროპროექტია, დიდ მნიშვნელობას აძლევს შუარიონის ჰიდროსადგურებს. მართლაც, შუარიონის უდიდესი სიმძლავრე, ენერგიის ხარისხი და განსაკუთრებული სიიაფე, გეოგრაფიული მდებარეობა, უდიდესი მომხმარებელი და ნედლეულის ბაზის სიახლოვე, კარგი სატრანსპორტო და ტოპოგეოლოგიური პირობები გარკვეულ პასუხს იძლევა ზემოთ დაყენებულ საკითხზე: ჩვენი მომავალი ჰიდრომშენებლობის ცენტრი მდ. რიონზე უნდა გადავიტანოთ.

ამჟამად ამ მძლავრ ჰიდროსადგურთა სისტემის მთლიანად და განსაკუთრებით ერთერთი საფეხურის — ნამოხვანჰესის—შესწავლა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს (ნამოხვანჰესის ბიუროში — საქგიდეპი). ამავე დროს ამ სადგურის მშენებლობის უბანში პარალელურად მიმდინარეობს დეტალური საკვლევაძიებო სამუშაოები.

ნამოხვანჰესი ქუთაისს 20—25 კილომეტრით იქნება დაშორებული. აქ აიგება მაღალი კაშხალი, მოკლე გვირაბი და თვით ჰიდროსადგური. სადგურის მშენებლობა ორ რიგად არის ნავარაუდევი. პირველი რიგის სიმძლავრე 250.000 (ცხ. ძალამდე) იქნება (1 მილიარდ კვტ-საათ ენერგიის წლიური გამომუშავებით), ხოლო მეორე რიგისა, რაც მდ. ცხენისწყლის რიონში გადმოგდებასთანაა დაკავშირებული, — ნახევარ მილიონ ცხ. ძალას გადააჭარბებს. ამრიგად, ნამოხვანის ჰიდროსადგური ა.-კ. დღემდე მოთავებულ ან ასაგებ ჰიდროსადგურებზე უძლიერესი იქნება.

ამ სადგურის მთავარი ნაგებობა, მაღალი კაშხალი, რიონის ხეობაში შექმნის უდიდეს ხელოვნურ ტბას, რომლის სიგრძე 30 კილომეტრამდე მიაღწევს. ტბის სასარგებლო მოცულობა იქნება ნახევარ მილიარდ კუბმეტრამდე, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მდინარე რიონის რეჟიმის მოსაწესრიგებლად. გაზაფხულ - შემოდგომაზე წყალდიდობა მთელ სოფლებსა და ყანებს წალეკავს ხოლმე, ზამთრობით კი წყალი იმდენად კლებულობს, რომ რიონჰესის ოთხი ტურბინიდან ერთიც არასრული სიმძლავრით მუშაობს. ნამოხვანის კაშხლის აგების შემდეგ შესაძლებელი იქნება წყალდიდობის დროს მარაგის დაგროვება აუზში და მისი გაშვება ზამთრობით, როცა მდინარეში წყალი ცოტაა. ამას მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმისათვის, რომ თვით ნამოხვანის სადგურის მუშაობა მოწესრიგდეს, არამედ რიონჰესისათვისაც რომელიც ნამოხვანის კაშხლის აგების შემდეგ მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნება წყლით და იმუშავებს სრული დატვირთვით. თუ დღეს მისი წლიური გამომუშავება უდრის 250 მილ. კვტ-საათს, რომლიდანაც მუდმივი მხოლოდ 90 მილიონი კვტ-საათია, მაშინ მისი მუდმივი ენერგიის წლიური გამომუშავება იქნება 320 მილ. კვტ-საათი.

გარდა იმისა, რომ რიონჰესის ენერგიის ხარისხი არსებითად შეიცვლება, მისი წლიური გამომუშავებაც გაიზრდება 70 მილ. კვტ-საათით.

ამჟამად წყლის სიმცირის დროს მდინარის მთელ წყალს რიონჰესი ხარჯავს, ქ. ქუთაისი კი უწყლოდ რჩება. ნამოხვანის კაშხლის აგების შემდეგ არა მარტო რიონჰესი სავსებით უზრუნველყოფილი იქნება წყლით, არამედ საჭირო შეიქნება რიონის კალაპოტში ზედმეტი წყლის გაშვება. ამრიგად, ქალაქი შეინარჩუნებს მდინარის ბუნებრივ ხარჯს, როგორც ეს იყო რიონჰესის აგებამდე.

მაღალი კაშხლის აგებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა გეოლოგიურ პირობებს აქვს. ნამოხვანის კაშხლის უბანში ჯერ კიდევ 1933 წლიდან მიმდინარეობს გეოლოგიური კვლევა - ძიება და ამჟამად გაბურღულია რამდენიმე ასეული მეტრი ჭაბურღილი, გაკეთებულია მთელი რიგი საგამოკვლევო გვირაბები და შესრულებულია სხვა სამუშაოები კაშხლის ფუძის დეტალურად შესწავლისათვის. სოფ. ნამოხვანთან დღემდის ჩატარებულ ყველა სამუშაოთა შედეგი ადასტურებს არჩეული ადგილის მეტად საიმედო გეოლოგიურ პირობებს როგორც მაღალი კაშხლის აგების, ისე წყალსაცავში წყლის სავსებით შენარჩუნების მხრივ.

მიმდინარე წლის განმავლობაში ადგილობრივ საინჟინრო - გეოლოგიური კვლევა - ძიების საწარმოებლად მოწვეული არიან ლენინგრადის სამეცნიერო - გეოლოგიური ინსტიტუტის სპეციალისტები, რომლებიც წლის დამლევამდე დარჩებიან მომავალი მშენებლობის უბანში. ნამოხვანის ჰიდროსადგურის კვლევა - ძიება და დაპროექტება იმ ვარაუდით სწარმოებს, რომ 1936 წლის ბოლოს გვქონდეს სრულიად დასაბუთებული და დამტკიცებული ტექნიკური პროექტი, რათა ამავე დროს შესაძლებელი გახდეს სადგურის აგების დაწყება.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ნამოხვანის ჰიდროსადგურის მთავარი ნაგებობაა კაშხალი, რომლის სიმაღლე 130 მეტრს აღწევს, ე. ი. სიმაღლით ის გადააჭარბებს მსოფლიოში არსებულ ყველა კაშხალს (თუახის 124 მეტრი, დიაბლოს — 118 მეტრი, აროუროკის — 107 მ., საუტეტის — 125 მ., პარდის — 109 მ., კამარაზა — 101 მ.), გარდა ამჟამად მშენებლობაში მყოფ მსოფლიოში უდიდეს ბუვერის კაშხლისა, რომლის სიმაღლე 200 მეტრს აღწევს. მშენებლობის მასშტაბის დასახასიათებლად აღვნიშნავთ, რომ ნამოხვანის კაშხლის ბეტონის წყობა მილიონ კუბმეტრს აღემატება. ჯერჯერობით საბოლოოდ არ არის გამორკვეული, რისგან აშენდება ნამოხვანის კაშხალი, ბეტონისა თუ ნაყარი ქვისაგან. მაგრამ ორივე შემთხვევაში მასალა ადგილობრივვე მოიპოვება. გრანიტისებური ქანები, რომლებიც მდინარის ფერდობებს შეადგენენ, საშენი ქვის ულევ კარიერებს წარმოადგენენ. ხოლო თუ კაშხალი ბეტონისა იქნება, ეს კარიერები მშენებლობას უზრუნველყოფენ მექანიკური ღორღითა და ქვიშით. საჭირო იქნება მშენებლობისათვის მხოლოდ ცემენტის მოწოდება. რა თქმა უნდა, კასპის ცემენტის ქარხნიდან, გაფართოების შემდეგაც, ნამოხვანში ცემენტის დიდი რაოდენობით მიწოდება ხელსაყრელი ვერ იქნება. ამიტომ ამჟამად პარალელურად ვსწავლობთ ნამოხვანის რაიონში ცემენტის ქარხნის აგების საკითხს. ეს ქარხანა კაშხლის მშენებლობის დასრულების შემდეგ ცემენტს მიაწოდებს როგორც შემდეგ რიგში ასაგებ ჰიდროსადგურებს, ისე მთელ დასავლეთ საქართველოს მშენებლობებს. წინასწარი ცნობებით, ამ უბანში მოიპოვება ყველა საჭირო ნედლეული ცემენტის ადგილობრივად დამზადებისათვის. ხის საშენი მასალით მშენებლობას უზრუნველყოფენ რაჭა-ლეჩხუმის სატყეო აგარაკები.

ეს მეტად ხელსაყრელი საამშენებლო და მდინარის ბუნებრივი პირობები განსაზღვრავენ ნამოხვანჰესის ენერგიის არაჩვეულებრივ სიიაფეს (0,45 კაპ. კვტ-საათი). სადგურის პირველი რიგის სამუშაოების ღირებულება ნავარაუდევია, დაახლოვებით 150—160 მილიონ მან., ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ მდინარის ხარჯის მოწესრიგების გავლენას რიონჰესზე ნამოხვანის კაშხლის აგების შემდეგ, ეს თანხა გაცილებით შემცირდება. მართლაც, რიონჰესის მუშაობის სრული მოწესრიგებისათვის საჭიროა 70 მილიონი კვტ-საათი ენერგია, რასაც მას მიაწოდებს ხრამჰესი და ტყვარჩელის თბოსადგური. ნამოხვანის კაშხლის აგების შემდეგ კი რიონჰესი სავსებით მოწესრიგებული იქნება წყლით, ენერგიის დაუხარჯავად, მაშასადამე მშენებლობის ხარჯების ნაწილი, დაახლოვებით 40 მილ. მან., უნდა გადაეცეს რიონჰესს. ამრიგად, წმინდა ენერგეტიკული გამოყენების თვალსაზრისითაც ნამოხვანის ჰიდროელსადგური იქნება ა.-კავკასიის ერთერთი მარტო უძლიერესი, არამედ უიაფესი ჰიდროსადგური.

ნამოხვანის ჰიდროსადგურის მშენებლობა მოცულობით დნეპროჰესის მშენებლობის მასშტაბისაა და ეს გარემოება მოითხოვს ამ ობიექტისადმი ფრიად სერიოზულ ყურადღებას, მშენებლობისათვის ჯეროვან მომზადებას.

ამ მოსამზადებელი სამუშაოებისათვის დარჩენილ დროის სიმცირემ და ელენერგიაზე მოთხოვნილების სწრაფმა ზრდამ შეიძლება იძულებული გაგვხადოს, თუ 1937 წლის დასაწყისში ვერ შევსძელით ნამოხვანის მშენებლობის დაწყება, წავიდეთ ან მცირეძალიანი ჰიდროსადგურების ან თბოსადგურების მშენებლობის გზით. ერთიც და მეორეც ჩვენს პირობებში მიუღებელია. *).

ნამოხვანის ჰიდროსადგურის უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მოითხოვს მის სათანადო შეფასებას. ასეთ დიდ საქმეში საკმარისი არ არის ცალკეულ პიროვნებათა თანაგრძნობა და თავგამოდებული მუშაობა. ის საჭიროებს ყველა დაინტერესებულ საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციათა უშუალო მონაწილეობას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს წინასწარ სამუშაოების დროზე ჩატარება და ამ გრანდიოზული მშენებლობის მომზადებული შეხვედრა.

---

*) ჩვენ მხედველობაში გვაქვს რაიონული მნიშვნელობის ჰიდროსადგურები და არა სასოფლო-სამეურნეო პატარა ჰესები, რომლებსაც ჩვენში განვითარების დიდი პერსპექტივები აქვს.

ადამიანი

ვით მოელვარე
დღეს გაზაფხულის,
დგას საბჭოეთის
ცა გასარკული.
გულს სიყვარულით
სადაც ათბობენ,
იქ ვარსკვლავებიც
სხვაგვარ ნათობენ.
ლალ-მარგალიტის
უხვი მადანიც,
რა საუნჯეა
შენი ბადალი.
ადამიანი
ფრთებს შენით ისხამს,—
როგორც კაშკაშა
სხივები მზისა.
გადაეფრქვია
მასებს სინაზით
ბრძენი—ტიტანის
ცხოველი აზრი.
მილიონების
გულებს დაუვლის
სითბოჩქერებად
გადმოღვარული.

როგორც მაისის
დილა — სისხამით,
ნაზარდი ხენი
ყლორტებს ისხამენ, —

—:—

ისე ყვავილობს
ცხოვრება შენი;
სიყვარული და
სიმღერა გშვენის

—:—

შეჰხარის მუდამ
დღესა და მყოფადს,
ვარდ — ყვავილებში
ჩაფლული ყოფა.

—:—

ლალ მარგალიტის
უხვი მადანიც,
რა საუნჯეა
შენი ბადალი.
ახალი ყოფა
ფრთებს შენით ისხამს,
როგორც კაშკაშა
სხივები მზისა.

ვ. მესხია.

ბედნიერი თაობის ზეიმი

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში 25 ივნისს დილიდანვე ახმაურდებიან ჩვენი ქალაქის ბედნიერ ბავშვთა მხიარული რაზმები. ტფილისის მრავალი ათასი პატარა მოქალაქე, გამთბარი პარტიისა და ხელისუფლების სიყვარულით და მზრუნველობით, იზეიმებს სასწავლო წლის წარმატებით და ნაყოფიერ დასრულებას.

★

ამავე დღეს საღამოთი მთელი ჩვენი ქალაქის მშრომელები აღნიშნავენ სრული საშუალო სკოლის—საბჭოთა ათწლედის პირველ გამოშვებას.

ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ტფილისის ყველა რაიონიდან თავს მოიყრიან საშუალო სკოლის უკანასკნელი კლასების წარჩინებული მოწაფეები. აქ მოვლენ ოქტომბერთან ერთად დაბადებულნი, ოქტომბრის ღვიძლი შვილები, ოქტომბრის ტოლები. ამ ზეიმში მონაწილეობას მიიღებენ ოქტომბრის ბრძოლების უშუალო მონაწილენიც. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელ ორგანოთა წარმომადგენლები, ფაბრიკა-ქარხნების, წითელი არმიისა და ხელოვნების წარჩინებული ადამიანები. აქვე იქნებიან ტფილისის უმაღლესი სასწავლებლების დირექტორები და პროფესორები.

ისინი გულთბილად და სიყვარულით მიესალმებიან იმათ, რომელნიც ათი წლის განუწყვეტელი სწავლის შემდეგ სტოვებენ სასკოლო პარტებს, ვისაც ეკუთვნის დიდებული აწმყო და ნათელი, სხივოსანი მომავალი.

დირექტორები და პროფესორები მათ გააცნობენ უმაღლეს სასწავლებლებში მშრომელთა შვილების მიღებისა და სწავლის პირობებს.

პარკი გაჩირაღდნებული იქნება საკინომრეწვის პროჟექტორებით, მეათე კლასების მოწაფეები ჩირაღდნით ხელში გამართავენ ცეცხლიან კარნავალს. ყველა—დიდი, თუ პატარა გაერთობა სხვადასხვა მასობრივი თამაშობით, ესტრადაზე გამოვლენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწენი. აქვე იქნება ორკესტრი, ჯაზი, საზანდარი, მასობრივი ცეკვა. ყველა კურს დამთავრებულს გულზე სპეციალური ნიშანი ექნება. ყველას საჩუქრად მიეცემა ცოცხალი ყვავილების თაიგული.

დ. წ.

2000 ფრიადოსანი

(ტფილისი. კიროვის რაიონი)

ალბათ კომინტერნის ქუჩაზე გამვლელნიც კი გრძნობდნენ, რომ ვოროშილოვის სახელობის კლუბში მიმდინარეობდა კიროვის რაიონის ფრიადოსან მოწაფეთა შეკრება.

2.000 ფრიადოსანს, დამკვრელს, წარჩინებულს მოუყრია აქ თავი, რათა ზეიმით აღნიშნონ სასწავლო წლის წარმატებით დასრულება. აქ მოსულან მოწაფეები, რომლებმაც თავი ისახელეს სწავლაში. თავი ისახელეს ისე, რომ მთელი რაიონის მშრომელთა ყურადღება მიიქციეს. საუკეთესო სწავლისა და სანიმუშო დისციპლინისათვის დღეს მათ რაიონული ხელისუფლება აჯილდოვებს.

ესენი არიან: **ოთ. გიგინეიშვილი, ქეთ. ორჯონიკიძე, ვ. მარტიაშვილი, გ. მუმლაძე, ც. პანტურია, რ. პოლოხიანი, ზ. კრიხელი, ს. საფარიანი, ე. დვანაძე** და სხვ.

რაიონულმა ხელისუფლებამ დიდი სიუხვე გამოიჩინა. 17 ათასი მანეთია გადადებული მათ დასაჯილდოვებლად.

— საბჭოთა კავშირი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ადამიანი ყველა კაპიტალზე უფრო ძვირფასია. საბჭოთა კავშირი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ასე დიდია ზრუნვა ახალგაზრდობაზე.

ბავშვებზე ასეთი ზრუნვა ჩვენი უდიდესი ბელადის ამხ. სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგია — ამბობს კიროვის რაიონულ საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ნ. კუცია** და ორი ათასი ნორჩი ხელის ტაშის ცემა ფარავს მის სიტყვებს. ორი ათასი წკრიალა ხმა აღტაცებით იძახის: **პიონერული ვაშა—სტალინს**“.

დარბაზში ყურადღებას იპყრობს პაწია, ცუგრუმელა გოგონა, **მზია ჭელიძე**, რომელიც წინა სკამზეა ჩამომჯდარი და სტალინის, ბერიას, კომუნიზმის გაგონებაზე წამოხტება და თავისი პაწია ხელებით ტაშს უკრავს, ხტუნავს, ცეკვავს, უხარია, იცინის.

ესეც გრძნობს, თუ ვისი ხელმძღვანელობის შედეგია ახალგაზრდობის ასეთი ზეიმი.

შ. ჯიქია.

გაიხსნა წყალის სადგური

ბათომი, (საკ. კორ.) გაიხსნა ამხ. შვერნიკის სახელობის აჭარისტანის პროფსაბჭოს წყალის სადგური. სადგურის გახსნის დროს გაიმართა სხვადასხვა სასპორტო შეჯიბრება.

ზღვასთან დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ წარმოება-დაწესებულებების დამკვრელი მუშები, სპეციალისტები, მოსწავლე ახალგაზრდები და სხვ. სადგურის გახსნის პირველ დღეს 800 კაცმა მიიღო მონაწილეობა ცურაობაში. წყალის სადგურის განკარგულებაშია 30 ნავი, 3 კატერი და 7 იალქნიანი ნავი. მათ ყოველდღიურად შეუძლიათ 1.000 კაცს გაუწიონ მომსახურეობა.

სადგურის გახსნასთან დაკავშირებით გაიმართა შეჯიბრება ცურაობაში 50 და 100 მეტრის მანძილზე 50 მეტრის მანძილზე ცურაობაში პირველი ადგილი დაიჭირეს: ამხ. **ზადურიანმა** (ქალი) და **თოსელიანმა** (ვაჟი).

ამხ. **დულინმა** 1 წუთსა და 37 წამში დაფარა 100 მეტრის მანძილი და პირველ ადგილზე გამოვიდა.

100 მეტრის მანძილზე მკერდულ ცურაობაში პირველ ადგილზე გამოვიდა ამხ. **მალოგი.**

ეწყობა წყალ-ბურთის საჩვენებელი თამაში ნავით სეირნობა, ბანაობა და სხვ.

საქ. ცაკის დადგენილება

საქართველოს სსრ-ის ზოგიერთ საქალაქო საბჭოებთან და ქ. ტფილისის სარაიონო საბჭოებთან ბავშვთა უპატრონობისა და უმეთვალყურეობის წინააღმდეგ ბრძოლის სექციების დაარსების შესახებ.

1. სსრ კავშირის სახ. კომ. საბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ც. კ. 1935 წ. მაისის 31-ის დადგენილების საფუძველზე ბავშვთა უპატრონობისა და უმეთვალყურეობის ლიკვიდაციის შესახებ — დაარსებულ იქნეს ტფილისის, ქუთაისის, ფოთის, ბათომის, და სოხუმის საქალაქო საბჭოებთან და ქალ. ტფილისის სარაიონო საბჭოებთან სექციები ბავშვთა უპატრონობასა და უმეთვალყურეობასთან ბრძოლისათვის.

2. აღნიშნული სექციები უნდა მოეწყოს საქალაქო და სარაიონო საბჭოების სექციებისათვის შემოღებულ საერთო წესისამებრ. მათი მოწყობა უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს ა.-წ. ივლისის 1-სა.

3. დაევალოთ ბავშვთა უპატრონობასა და უმეთვალყურეობასთან ბრძოლის სექციებს:

ა) ბავშვთა სახლების და შრომის კოლონიების მუშაობისათვის ხელისშეწყობა;

ბ) ობოლი ბავშვების მოწყობასა და უზრუნველყოფაში დახმარება (მეურვეების დანიშვნა, საბავშვო სახლში, წარმოებაში, კოლმეურნეობაში გაგზავნა და სხვ.);

გ) ქუჩაში ბავშვთა და მოზარდთა ხულიგნობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლა და ამ ბრძოლისათვის საწარმოების, დაწესებულებების, საბინაო ამხანაგობების და სხვა ორგანიზაციების საზოგადოებრიობის დარაზმვა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე ფ. მახარაძე.
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი თ. ულენტი.

1935 წ. ივნისის 14.
ტფილისი.

მასწავლებელთა დაუსწრებელი სწავლების შესახებ

საქართველოს განსახკომის განმარტებით არასრული და სრული საშუალო სკოლების ყველა მასწავლებელი, რომელსაც აქვს საშუალო განათლება და უმაღლესი პედაგოგიური განათლება არ მიუღიათ, სახკომსაბჭოს გასული წლის 22 მაისის დადგენილების თანახმად, ვალდებულია ჩაებას დაუსწრებელ სწავლებაში. დაუსწრებელ პედინსტიტუტში ჩარიცხვის უკანასკნელი ვადაა მიმდინარე წლის 10 აგვისტო.

მიღება იწარმოებს ქუთაისის პედინსტიტუტის დაუსწრებელ სექტორის, ბაქოს, როსტოვისა და ერევნის პედინსტიტუტების დაუსწრებელი სექტორების ტფილისის ფილიალების ენისა და ლიტერატურის, ფიზიკა-მათემატიკის, ისტორიულ, საბუნებისმეტყველო, რუსული ენისა და ლიტერატურის, პედოლოგიურ-პედაგოგიური და გეოგრაფიის ფაკულტეტებზე.

ავტონომიური რესპუბლიკების განსახკომები და რაიონული განათლების განყოფილებები ვალდებული არიან უზრუნველყონ დაუსწრებელ სწავლებაში მასწავლებელთა ორგანიზებული ჩაბმა.

საბუთები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართებით: ქართული სექტორისათვის: ქუთაისის პედინსტიტუტი (დასავლეთ საქართველოში მცხოვრებთათვის) და ტფილისი, გ. ლომინაძის ქ. № 5 (აღმოსავლეთ საქართველოსა და რუსული სექტორისათვის); თურქული სექტორისათვის, განსახკომი. ოთ. № 5 და სომხური სექტორისათვის—ტფილისი. ლერმონტოვის ქ. № 8.

ავიაციის მუშაკები „კომუნისტის“ რედაქციაში

სურათზე: ავიაციის მუშაკები: პირველ რიგში მარცხნიდან მარჯვნივ ამხ. ჟორდანია (ტფილისის აეროკლუბის მფრინავი ქალი), გიორგაძე (ა.-კ. და საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს თავმჯდომარე), ხაცრინოვი (ა.-კ. თ.-ა. ავიაციის უფროსი), ოდიშარია (ტფილისის აეროკლუბის უფროსი), პოგოსოვი (მფრინავთა სკოლის უფროსის მოადგილე პოლიტდარგში). მეორე რიგში ამხ. მეტონიძე (საქ. თავდაცვა-ავიაქიმის თავმჯდომარის მოადგილე), ივინი (ავიაციის ინსპექტორი), ფილიპოვი (საპარაშუტო სკოლის უფროსი) ინწკირველი (საპარაშუტო საქმის ინსტრუქტორი).

„კომუნისტის“ რედაქციას ესტუმრა ავიაციის მუშაკთა დელეგაცია, რომელშიაც შედიოდენ: ა.-კ. და საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის თავმჯდომარე ამხ. **გიორგაძე,** ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის ავიაციის უფროსი ამხ. **ხაცრინოვი,** ტფილისის აეროკლუბის უფროსი ამხ. **ოდიშარია.** ავიო-ინჟინერი **ნიკურაძე,** აეროკლუბის საფრენოსნო ნაწილის უფროსი **ვეკუა,** საპარაშუტო სკოლის უფროსი **ფილიპოვი,** საპარაშუტო საქმის ინსტრუქტორი **ინწკირველი,** ავიაციის ინსპექტორი **ივინი,** საპარაშუტო საქმის ინსპექტორი **აფანასოვი** და მფრინავები **ენუქიძე** და **ჟორდანია** (ქალი).

დელეგაციას საუბარი ჰქონდა რედაქციის პასუხისმგებელ მუშაკებთან იმ ამოცანებზე, რომლებიც დგას თავდაცვა-ავიაქიმის წინაშე.

საუბრის დროს აღნიშნული იყო, რომ პრესა სუსტად აშუქებს თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობას.

ამავე დროს თავდაცვა-ავიაქიმი და მისი აეროკლუბი დიდ საქმიანობას ეწევიან. მიმდინარე წლის თებერვლამდე ჩვენ ტფილისში არ გვქონდა არცერთი საპარაშუტო კოშკი, ამჟამად კი გვაქვს ორი და შენდება კიდევ სამი. აეროკლუბმა წელს გამოუშვა 26 ახალი მფრინავი.

ჩვენს წინაშე დგას ამოცანა გადავაქციოთ ტფილისი ამიერკავკასიის სანიმუშო ქალაქად. ეს ამოცანა ვერ იქნება მიღწეული, თუ თავდაცვითი მუშაობაც არ გაუმჯობესდა. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ამოძრავება, ამ საქმეში პრესის დახმარება, თავდაცვა-ავიაქიმის ამოცანების პოპულარიზაცია, მშრომელთა ფართო მასების ყურადღების გამახვილება ამ ამოცანებზე.

საუბრის დასასრულს რედაქციამ გამოსთქვა სურვილი ერთიდიულ წევრად შევიდეს ტფილისის აეროკლუბში და წლიურ შესატანად დააწესა 5000 მანეთი. ამ თანხის ნაწილი უკვე გადარიცხულია აეროკლუბის ანგარიშზე.

რედაქციამ გამოყო სპეციალური მუშაკი, რომელსაც დაევალა სისტემატიურად გააშუქოს თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობა.

ხელოვნება

ტფილისის სომხური სახ. თეატრის დასის გასტროლები საქართველოს და სომხეთის რაიონებში

საქართველოს და სომხეთის მთელი რიგი რაიონული ორგანიზაციების შუამდგომლობით, ტფილისის სახ. სომხურმა თეატრმა თავის შემადგენლობიდან გამოჰყო დასი თეატრის პრემიერის მსახიობ ქალის მ. მოჟორიანის მეთაურობით და დამსახურებული მსახიობების ა. მამიკონიანის, ლ. ალახვერდიანის და სხვ. მონაწილეობით საქართველოს და სომხეთის რაიონებში საგასტროლო მოგზაურობისათვის.

რაიონებში დასი დასდგამს პიესებს: „პატიოსნებისათვის“ და „ნამუსი“—შირვანზადესი, „სევილი“—ჯ. ჯაბარლისა, „ვერაგობა და სიყვარული“ და სხვ.

დამსახურებული მსახიობის ა. მამიკონიანის მხატვრული ხელმძღვანელობით წარმოდგენები პირველ რიგში გაიმართება ქ. კიროვაკანში, ახალქალაქში, შაუმიანში, სტეპანავანში და დილიჟანში, აგრეთვე საქართველოს და სომხეთის საბჭოთა მეურნეობებსა და მთელ რიგ მსხვილ კოლმეურნეობებში.

ორდენოსანი კინორეჟისორები ტფილისში

საქართველოს კინემატოგრაფიის გასაცნობად 18 ივნისს ტფილისში ჩამოვიდნენ ლენინის ორდენით დაჯილდოვებული ცნობილი კინორეჟისორები ამხ. ტრაუბერგი და კოზინცევი. აგრეთვე ცნობილი კინომსახიობი სოფიო მაგარილი.

სურათზე: მარცხნიდან მარჯვნივ—კინორეჟისორები ამხ. ტრაუბერგი, კოზინცევი და კინომსახიობი ს. მაგარილი.

წიგნის მხატვრულად გაფორმებისათვის

ეპოქის იდეები ყოველთვის გავლენას ახდენენ არა მარტო მხატვრობასა, ქანდაკებასა ან ხელოვნების სხ. დარგებზე, არამედ წიგნის გაფორმებაზეც. აიღეთ მაგ 3-4 საუკუნის წინათ გამოცემული წიგნები. თქვენ ნახავთ, რომ ისინი არა მარტო თავისი შინაარსით არიან რელიგიურ იდეის მატარებელი, არამედ მათი გარეგანი გაფორმებითაც.

სამწუხაროთ ჩვენ სამარცხვინოდ ჩამოვრჩით წიგნის გაფორმების დარგში. ჩვენში გამოდის მრავალტირაჟიანი ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და სხვა პოპულარული ლიტერატურა, მაგრამ მათი ყდა და საერთოდ გარეკანი ხშირად ულაზათოდ არის გაფორმებული: ისეთი ასოებია ერთმანეთთან გადაბმული, რომლის შეერთება ტექნიკურად მოუხერხებელია („პროლეტფდი“, „ალიგერიდანტე“, „ჯოჯოხეთი“ — სახელგამის გამოცემით და სხ.) პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ქართულ ნათელ ასოებში გაურკვევლობა და ბუნდოვანებაა შეტანილი. ხანდახან ვერც წაიკითხავთ წიგნის სახელწოდებას; ასოები ისეა მიყრილ-მოყრილი, როგორც ბრძოლის ფრონტზე დამარცხებული მეომრები.

ჩვენი წიგნის გამომცემლები ზოგჯერ არ უწევენ ანგარიშს მკითხველებს.

თვითეული ჩვენი გამომცემლობა თავისი გემოვნების მიხედვით აფორმებს წიგნს. ზოგჯერ გაფორმება წიგნის შინაარსიდან არ გამომდინარეობს. მაგ. გარეკანზე დახატულია რომელიმე ქარხანა, გგონიათ, რომ წიგნშიც ამოიკითხავთ გარეკანზე დახატულ სურათის შესახებ, მაგრამ ამაოდ.

ყდა ზოგჯერ უშინაარსოა, არა აქვს ორგანიული კავშირი ტექსტთან.

ნამდვილმა ყდამ უნდა გადმოსცეს წიგნის კონკრეტული იდეა, ამაშია ყდის მთავარი დანიშნულება. ეს კი ხშირად ასე არ ხდება.

წიგნის გამოცემის ტექნიკაც სუსტია ჩვენში. ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოუშვა **გოზალიშვილის** წიგნი „1832 წლის შეთქმულება“ ეს არის იმის ნიმუში, თუ როგორ არ უნდა იცემოდეს წიგნი.

ამ წიგნის ბეჭდვა, დაკეცვა, აკინძვა, ტექ. რედაქცია უვარგისია. ჩამოჭრილია დაბეჭდილი ფურცლები, ტექსტი დაბეჭდვის დროს არეულია, ზოგი მეტია დაბეჭდილი და ზოგი კი სულ ამოვარდნილია; სად იყო წიგნის გამომშვები ან გამომცემლობის ხელმძღვანელი, როდესაც ეს შესანიშნავი წიგნი ფუჭდებოდა? და ყველა ამ ნაკლის შემდეგ წიგნის ფასია 17 მანეთი.

მიუხედავათ იმისა, რომ ამ ბოლო დროს გაუმჯობესდა საბავშვო ლიტერატურის გამოცემის და მისი დასურათების საქმე, ამ დარგში გვაქვს კარგი მდგომარეობა. საბავშვო ლიტერატურის სექტორი ვერ დაასახელებს ადრე გამოცემულ თითქმის ვერც ერთ ისეთ წიგნს, რომელიც კარგად დასურათებული და მხატვრულად გაფორმებული იყოს. იგი ბეჭდავდა და ბაზარზე უშვებდა სტანდარტულ წიგნებს. ასეთი წიგნები ნორჩ ახალგაზრდობას არ იზიდავს და სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ეს წიგნები ზოგჯერ წლობით აწყვია გაუსაღებელი.

1935 წელს სახელგამის საბავშვო სექტორმა გამოსცა ლეო ქიაჩელის საბავშვო მოთხრობები: „ოთხი დანათდა“. ამ წიგნის ტექნიკური რედაქცია უვარგისია; უვარგისია აგრეთვე დაბეჭდვა და დაკეცვა.

რა არის მიზეზი, რომ ჩვენში ცუდათ დასურათებული წიგნები გამოდის? იქნებ მხატვრები და ილუსტრატორები არ გვყავს? არა, არიან ერთნიც და მეორენიც, მაგრამ არ ხდება მათი სათანადო შერჩევა. გამომცემლობას უნდა ჰყავდეს საქმით დაინტერესებული მხატვრები, რომლებიც დახელოვნებული არიან წიგნის დასურათება-გაფორმებით. წიგნის ილუსტრაცია, წიგნის კონკრეტული იდეის დაჭერა ყველა მხატვარს როდი შეუძლია. შესაძლოა დიდი მხატვარი წიგნის ცუდი ილიუსტრატორი იყოს. ამიტომ საჭიროა წიგნზე გულდასმით მომუშავე მხატვრების შერჩევა.

ამ გარემოებას მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ყველა გამომცემლობამ და ყოველივე ღონისძიება იხმარონ წიგნის გაფორმების ჯეროვან დონეზე დასაყენებლად.

ალ. სიგუა

ვასიკო კნიაზევი ქუთაისშია

(ჩვენი ქუთაისელი კორესპონდენტისაგან)

ტელეფონით დაგვირეკეს. ადგილობრივი და ცენტრალური გაზეთების წარმომადგენლებს გვთხოვეს სასამართლოში მისვლა....

— რა მოხდა?

— დაკარგული ვასიკო კნიაზევი ჩამოიყვანეს და ამჟამად ჩვენთან არისო.

სასწრაფოდ გავეშურეთ სასამართლოში. გამომძიებელ სოფრომაძის ოთახში დაგვხვდა პატარა—6—7 წლის, ცოცხალი გამომეტყველების ბავშვი, რომელიც გამომძიებლის შეკითხვებს მკვირცხლ პასუხს აძლევდა...

— ვასიკო, რათა წახვედი საბავშვო სახლიდან, ცუდად ხომ არ გეპყრობოდნენ?

ბავშვი ერთხანს სდუმს. შემდეგ ამბობს, ვიღაც ბიძია დამელაპარაკა, პური მომაწოდა და იმას გავყევიო.

— ვინ ბიძია იყო?

— ბიძია აკაკი. იმან სოფელში წამიყვანა.

— შენ რომ წახვედი, საბავშვო სახლში იცოდა ვინმემ?

— დეიდამ (საბავშვო სახლის თანამშრომელმა) იცოდა.

ირკვევა, რომ საბავშვო სახლში ბავშვები საერთოდ უყურადღებოდ არიან, ზოგჯერ იქ მიდრეკილებასაც კი იჩენენ, რაც შეიძლება შეამცირონ ბავშვთა რაოდენობა. თუ ვინმე მოვიდა და ბავშვის წაყვანა მოითხოვა, აძლევენ, არ ასრულებენ ყველა წესს, რაც სავალდებულოა მსურველის მიერ ბავშვის წაყვანის დროს. ვასიკო კნიაზევის დაკარგვის შემდეგ საბავშვო სახლიდან გაიქცა მცირეწლოვანი სერგეი კოლესნიკოვი.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ განათლების განყოფილებაც ნაკლებ ყურადღებას იქცევს, საბავშვო სახლებს, მოუწესრიგებელია მათთვის თანხების მიწოდება.

ვასიკო კნიაზევი.

ჩვენ ვესაუბრეთ ქუთაისის რაიონის უფროს პროკურორს ამხ. ი. შელეგიას, თუ რა აზრისაა ის კნიაზევის ბავშვის საქმეზე.

— ერთი რამ უნდა ითქვას: ქუთაისის განათლების განყოფილება არ აქცევს ჯეროვან ყურადღებას საბავშვო სახლებს. საბავშვო სახლის ზოგიერთი თანამშრომელი უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავის მოვალეობებს. სკოლამდელ ბავშვთა აღზრდა ძლიერ ცუდად არის დაყენებული.

— ვასიკო კნიაზევის დაკარგვაში პირდაპირ დამნაშავეებს, კერძოდ თანამშრომელ ქეთო ხარაბაძეს, ჩვენ მივცემთ პასუხისგებაში. განზრახულია აგრეთვე საბავშვო დაწესებულებათა სერიოზული შემოწმება, რომ აღვკვეთოთ ის უპასუხისმგებლობა, რაც იქ დღემდის იყო. რაც შეეხება აკაკი ქეიშვილს, რომელმაც წაიყვანა ვასიკო კნიაზევი და მხოლოდ „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ დააბრუნა, იმასაც მოვთხოვთ პასუხს უნებართვოდ ბავშვის წაყვანისათვის,—განაცხადა ამხ. შელეგიამ.

ვ. ლალიაშვილი

კრებები და მოხსენებები

— 23 ივნისს, 8 ს. შესდგება სტომატოლოგიური სექციის ექიმთა სხდომა (პლეხანოვის პრ. № 126, სტომატოლოგიური კლინიკის შენობაში). დღის წესრიგი: 1. დოც. ალ. **ედიბერიძე**—ყბის ანკილოზების მკურნალობის საკითხებზე, 2. ასისტ. ა. **ზუმბულიძე**—ვერცხლის პრეპარატების კლინიკური ცდის მოხმარება ოპერატ. სტომატოლოგიაში, 3. ექ. ნ. **ჩხეიძე**—მოსკოვში მივლინების ანგარიშები. შესვლა თავისუფალია.

— **განათლების მუშაკთა სახლში 24** ივნისს დღის 12 საათზე ალ. კვიტაშვილი გააკეთებს მოხსენებას „ვეფხვის ტყაოსნის შედარება თამარის ეპოქასთან გმირების გარჩევა და მონათა საკითხი“. შესვლა თავისუფალია.

30 წლის წინათ (1905)

21, 22, 23, 24 ივნისი

★ **სტავროპოლის** ციხეში პატიმრებმა მოაწყვეს არეულობა ცუდი მოპყრობის გამო.

★ **ორენბურგში** დაიწყო დიდი გაფიცვები.

★ **ლოძში** მუშებსა და პოლიციას შორის მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკებები. დაიღუპა 2 ათასამდე კაცი.

★ **ლიბავაში** ადგილი ჰქონდა მუშათა არეულობას.

★ **ნიკოლაევში** გამოცხადდა მუშათა საყოველთაო გაფიცვა.

★ **ჩენსტოხოვში** დახვრიტეს მუშათა დემონსტრაცია, გამართული ლოძის ამბების გამო.

★ **რიგაში** გაიხსნა ლიტვის ს. დ. პარტიის მეორე ყრილობა.

★ **ვარშავაში,** ლოძის ამბების გამო დაიწყო საყოველთაო გაფიცვა.

★ **გამოქვეყნდა** მინისტრთა საბჭოს მიერ სახელმწიფო სათათბიროს შესახებ მიღებული კანონი.

★ **ტირასპოლის,** კოვნოს, ჩისტოპოლის და ელიზავეტგრადის მაზრებში თანდათან ძლიერდებოდა გლეხთა აგრარული მღელვარება.

★ **ნიკოლაევის** მაზრის მთელ რიგ სოფლებში მოხდა გლეხთა გამოსვლები.

★ **პოდოლსკის** გუბერნიაში დაიწყო სასოფლო - სამეურნეო მუშათა გაფიცვა.

★ **ტფილისში** გამოცხადდა ფუნიკულიორის მუშა - მოსამსახურეთა გაფიცვა. გაფიცულები მოითხოვდნენ 8 საათის სამუშაო დღეს, დირექტორის გადაყენებას და სხ.

★ **კავკასიის** ნამესტნიკთან გამოცხადდა მუსლიმანთა დელეგაცია, რომელმაც მოითხოვა მუსლიმანთა საწინააღმდეგო ზომების გაუქმება.

★ **ხონში** 25 ივნისს დაკრძალეს გამოჩენილი რევოლუციონერი, ბოლშევიკი **ალექსანდრე (საშა) წულუკიძე.**

დასაფლავებამ გრანდიოზული დემონსტრაციის ხასიათი მიიღო. ქუთაისში ამ დღეს გაიმართა დემონსტრაცია, რომელშიაც 20 ათასამდე კაცი მონაწილეობდა. მიუხედავად კოკისპირული წვიმისა, ქუთაისიდან ხონამდე ცხედარი გააცილა 7 ათასამდე კაცმა. კუბოს ამშვენებდა 80-ზე მეტი გვირგვინი. წარმოითქვა მრავალი სიტყვა.

სოფ. გუბში სიტყვით გამოვიდა **ამხ. სტალინი,** რომელმაც თავდადებული ბოლშევიკის ცხედრის წინაშე დასდო ფიცი თვითმპყრობელობისა და ექსპლოატატორების წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის განგრძობის შესახებ.

შემთხვევები

#**გაუფრთხილებელი სვლა.** ბრძოლის ქუჩაზე მე-13 მარშრუტის ტრამვაის ვაგონი, რომელსაც მართავდა ვატმანი ს. ი. კერვალიშვილი, დაეჯახა ტრამვაის მუშას დ. ი. ბარილაშვილს და დაშავა. ვატმანი პასუხისგებაში მისცეს.

#**მალაკნის ქუჩაზე** საბარგო ავტომანქანა № 19—64 (შოფერი ი. მ. არუთინოვი), რომელიც უკუსვლით გამოდიოდა სოიუზტრანსის საწყობის ეზოდან, დაეჯახა მე-3 მარშრუტის ტრამვაის მისაბმელ ვაგონს. ავტომანქანა და ვაგონი უმნიშვნელოდ დაზიანდა.

პარტკალენდარი

— საქ. კ. პ. (ბ) ტფ. ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი იუწყება, რომ 23 ივნისს, საღამოს 7 ს. რაიკომის სხდომების დარბაზში შესდგება ძირეული აგიტატორების მასობრივი კონსულტაცია საკითხზე: ბავშვთა უპატრონობის და უმეთვალყურეობის ლიკვიდაციის „შესახებ“ (კონსულტანტი ამხ. გორდელაძე).

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	უკანასკნელი დღეები მფრინავები 25-დან ხმ. კომედია ხამი ამხანაგი
დამკვრელი (საზაფხ. საზამთრო) 6-30, 8-30, 10-30	საზაფხ.—ფიჭვები შრიალებენ საზამთ.—მხ. სურათი ნაციის დროშა
ტემპი (საზამთ.) 7. 8-45, 10-30	მხატვრ. კომედია—ბებიების ჯანყი
ტემპი (საზაფხ. ხმოვანი 8-45, 10-45	ახალი ხმოვანი სურათი პეტრე ვინოგრადოვის კერძო ცხოვრება
რ. ლიუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30	მხატვრ. ხმოვ. კომედია ცხარე დღეები პრ. გარეშე—საბჭოთა ხელოვნება № 2.
მ თ ე რ ი (საზაფხ.) 8-45. 10-30	განწირულნი -2 სერია
„26“-ის კომ. სახ. 6-30, 8-30, 10-30	საზამთ.—ხმოვ. სურ. შ ა ქ ი რ ი საზაფხ.—ქალად წყალჯომარდი
კომინტერნი საზაფხ. (დიდუბეში). 8-30, 10-30.	მხატვრული კომედია ნ ა ხ ვ ა მ დ ი ს

რუსთაველის თეატრი
რესპ. სახ. არტ. სანდრო ახმეტელის
ხელმძღვანელობით
1935—36 წლ. სეზონი.

თეატრში გამოყოფილი იქნება მუდმივი ადგილები დამკვრელებისათვის.

ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლებს შეუძლიათ მიიღონ ყოველგვარი ცნობები თეატრის ადმინისტრაციისაგან ყოველდღე. 7-4

გაზ. „კომუნისტის“ გამომცემლობის
სტამბა
ღებულობს მოწაფეებს
ორივე სქესისას 18 წლიდან ზევით.
პირობების გაგება შეიძლება სტამბის ადმინისტრაციასთან.
კამოს ქ. № 68.

ფიზიკაში და ქიმიაში
უმაღლესი სკ ლებისათვის ვამზადებ უმოკლეს ვადაში.
ეგოროვის ქ., № 1/2; 2-რე სართ. (რკინ. გზის ხიდის და ყოფ. მალაკნების ბაზრის მახლობლად). ნახვა 4—6 ს. 8699

ექიმი
ი. ჭეიშვილი
ასიფილისი, ვენერიულ- და კანის დაავად. იღებს დილის 8—9 საათზე, დ. საღამოს 6½—8½ საათ მისამართი კამოს ქუჩა № 72 (ალექსანდროვის საავადმყ. პირდაპირ

ექიმი
ს. გ. დილბანეი
სპეც. შარდ-სასქესო, ვენერიული და კანის სნეულებანი, მწვავე და ქრონიკ. სუსუსატი და სქესობრივი უძლურების მკურნალობა.
მიღ საღამოთი მამაკაცების, 6—8, ქალები 5—6 ს. თეატრალური შეს. № 13, სახ. ოპერის თეატრის გვერდით.

მამა გრიგოლ, შვილი ოთარი, და ანა, ძმა შალვა, სიძე პეტრე ახალკაცი, დისწულები: თინა, ნელი იუწყებიან, რომ 24 ივნისს 7 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია
თამარ გრიგოლის—ასულ
თევდორაშვილი—ქიქიშურის
სამოქალაქო პანაშვიდი. უფ.

გ. ელიავა, ლ. ანთაძე, ე. მაყაშვილი, მ. ბერიძე, თ. ჯაფარიძე, ზ. გოგოლაძე, ქ. გოგელია, ი. გველესიანი ა. მაყაშვილი. იუწყებიან მედ. ინსტ. მიკრობიოლოგიის კათედრის ასისტ. ექ. ნ. აბესაძის დედის
მაკრინე **აბესაძის**
გარდაცვალებას. 8672

მამიდა ნატალია მეუღლე ლადოთი და შვილით თენგიზით არჩუაძეები იუწყებიან, რომ 24 ივნისს დღის 1 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ
(ნაშიკო) **პეტრიაშვილის**
ხსოვნის აღსანიშნავად. 8673

შვილი კირ სიმონის-ძე მესხი მეუღლე ანათი მწუხარებით იუწყებიან ძვირფას დედის
ეკატერინე არქიპოს ასულ **მესხის**
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 23 ივნისს 7 ს. გამოსვენება 24 ივნისს 2 ს. ვაკე. ჯანაშვილის ქ. № 5 ვერის სასაფლაოზე. 8684

გ ფურცელაძე, ე. გორგაძე, მ. ბაქრაძე, ნ. ერისთავი, გ. ფურცხვანიძე იუწყებიან რომ 24 ივნისს 7 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დედის
ლილოხი ივანეს ასულ **ფურცხვანიძის**
ხსოვნის აღსანიშნავად. 8688

გულდამწვარი მეუღლე ოლღა შვილებით: გუგუტა და ლაზარე ცოლშვილით, მიშა, ვერა ქმარშვილით, მაშიკო, ოლია, ჰუტუ, დისშვილი დავითი ცოლშვილით იუწყებიან მათთვის საყვარელი
კირილე **ბებეჭკორის**
უდროვოდ გარდაცვალებას. დასაფლავება მარტვილში 23 ივნისს. 8683

დამწუხრებული ცოლი არისტასია შვილები: ნინა, ელენე, დედა პელაგია, სიდედრი მარო შვილებით, ბიძაშვილი ამიკო იუწყებიან, რომ ვერის სასაფლაოზე 24 ივნისს 6 ს. დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ
პეტრე მიხეილის-ძე **წულაიას**
ხსოვნის აღსანიშნავად. 8685

ჯსკ ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტი იზიარებს ინსტიტუტის თანამშრომლის ექიმ ნიკოლოზ აბესაძის მწუხარებას დედის
მაკრინე პეტრეს ასულ **აბესაძის**
გარდაცვალების გამო. 8687

გულდამწვარი ვერა ჯაფარიძე მწუხარებით იუწყება ძვირფასი ამხანაგის და საყვარელი ადამიანის
ლიზა ფიფია- **არაჩემიას**
უდროოდ დაკარგვას. 8676

ნოე ლუნდუა ცოლშვილით იზიარებს ამხ. მიშა გაბისონიას მწუხარებას მისი მამის
კირილე **ბებეჭკორის**
გარდაცვალების გამო. უფ.

დამწუხრებული მეუღლე ვარდო, შვილები სონი და ვარა იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ
ტუხა მაქსიმეს-ძე **გიგოლაშვილის**
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი 23 ივნისს 8 ს. გამოსვენება ორჯონიკიძის ქ. № 101 (რკ. გზის საავადმყოფოს ეზო) 24 ივნისს 4 ს. 8682

1-ლი მედ. ტეხნიკუმის პედაგოგები და მსმენელები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე ტეხნიკუმის მასწავლებელ ელენე ფიფიას მისი დის
ლიზა ბორისის—ასულ **არაჩემიას**
უდროოდ დაკარგვის გამო. 8677

დამწუხრებული დედა სურათა, დები: ნინა, ეკატერინე, ანიკო, ლოლა ქმარშვილებით იუწყებიან, რომ 24 ივნისს 6 საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარ
სოფიო **ქირვალიძის**
ხსოვნის აღსანიშნავად. 8642

დამწუხრებული მეუღლე ოლღა გიორგის—ასული, და სონა არჩვაძე ქმრით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საყვარელი
თედო გლახის-ძე **მეჩითოვი**
სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე 8 ს. გამოსვენება 24 ივნისს 5 ნახ. ს. მელიქოვის ქ. № 7 ვერის სასაფლაოზე. 8689

პელაგია შვილებით: ერი, ნინა, არტემი, ცაბუ და მატო ბედიები იუწყებენ ნათესავთ და მეგობრებთ საყვარელი ადამიანის და მეგობრის
კირილე **ბებეჭკორის**
გარდაცვალებას. დასაფლავება მარტვილში 23 ივნისს. უფ.

მამა ნიკოლოზი, და ქეთინო, ბებია თებრო იუწყებიან, რომ მათთვის დაუვიწყარ
საშიკო **პეტრიაშვილის**
ხსოვნის აღსანიშნავად 24 ივნისს დღის 1-ლ საათზე ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი. 8690

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. №34. **ტელეფონები** რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—63—03, პასუხისმგებელი მდივნის 3—08—67, სამდივნოს 3—06—88, მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების—3—73—40, სტამბის 3—27—04, გამომცემლობის—3—51—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი“ კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ბ 8426